# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 აპრილი, 2012 წელი.

№63 (6940)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## გამოჩნდა ხელისუფლების შეშინებული სახე

2

## ვაჲ პატრონს ცუდის ქმრისასა!

როცა არც ქალის გული გულობს და არც მისი „გამომცხობი“ ხელისუფლებისა, მაშინ თვით მოჭარბებული ბუნებრივი სიმდიდრეც ხალხისთვის ერთობ ძვირად ღირებული ხდება



3

## „ბირბილიანის საქმე წინასაარჩევნოდ სერიოზული დარტყმა იქნება მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის“

3




## ირაკლი კაკალიას დაუმტკიცებელი ქურდობებისთვის 30 წელი მიუსაჯეს

5

## დიდი ფალავანი

7



## არა მგონია, რომ ვაშინგტონიდან მიღებული გზავნილები მმართველ გუნდამდე არ მივიდა




4

## უსაფრთხოება, ინტეგრაცია და კავკასია

8

## ავტომფლობელებს მოლოდინის გადასახადი დაუბრუნდებათ

5

ბრიფინგი

# გამოჩნდა ხელისუფლების შეშინებული სახე

**„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ტრადიციულ ორშაბათის ბრიფინგზე განაცხადა, რომ წინა კვირაში „ქართული ოცნების“ 5 ოფისი გაიხსნა — ხობში, ბაღდათში, გორში, დედოფლისწყაროსა და ახმეტაში. ამ კვირაში კიდევ იგეგმება ოფისების გახსნა წალენჯიხაში, ტყიბულში, სამტრედიაშიო. მისი თქმით, ოფისების გახსნასთან ერთად მატულობს ხელისუფლების ნერვიულობაც.**

„ამ ნერვიულობისა და შიშის გამოხატულებაა, რომ გახშირდა ჩვენი მოძრაობის, ჩვენი პოლიტიკური კოალიციის მომხრეებზე თავდასხმა.



ახმეტის ოფისის გახსნის მეორე დღეს ოცამდე მხარდამჭერს მიაკითხეს პოლიციის და სხვა სტრუქტურების თანამშრომლებმა, ისინი ცდილობდნენ, შანტაჟით, დაშინებით შეეკავებინათ იმათ მიერ მხარდაჭერის გამოხატვა „ქართული ოცნების“ მიმართ“.

მაია ფანჯიკიძის თქმით, იგივე ფაქტი მოხდა ქუთაისში. „ქართული ოცნების“ აქტივისტების განმარტებით, იმათ ქუთაისის მერიის ჩინოვნიკები თავს დაესხნენ. საპატრულო პოლიციას, დარეკვის მიუხედავად, რეაგირება არ მოუხდენია.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი ბუბა ჩივაძე აცხადებს, რომ თავდამსხმელთა შორის იყვნენ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ვასილ ხარაბაძე, არქიტექტურისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გიორგი ხაზარაშვილი, საგანგებო სიტუაციების თანამშრომლები: ლევან სალარიძე და გიორგი ნებურიშვილი.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ქუთაისის მერიის წარმომადგენლები მათ თავს დაესხნენ თეთრ სახლთან, როდესაც ისინი არიგებდნენ სააგიტაციო მასალებს და გაზეთებს. „წაართვეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ, გადაუყარეს მდინარეში და რამდენიმე აქტივისტს შეურაცხყოფა მიაყენეს. რასაკვირველია, ამ ინფორმაციას მერიის პრესსამსახური არ ადასტურებს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ასე მოხდა“.

მაია ფანჯიკიძემ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილი შეხვდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს გია ჟორჟოლიანს. „მიუხედავად კოალიციისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმისა, შეხვედრაზე შეჯერდა პრინციპული პოზიციები წინასაარჩევნო თანამშრომლობისთვის. ასევე, გამოიკვეთა თანამშრომლობის ფორმატი მაჟორიტარებთან მიმართებაში, კერძოდ, შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ თუკი სოციალ-დემოკრატებს ეყოლებათ რომელიმე საარჩევნო ოლქში ძლიერი მაჟორიტარი კანდიდატი, კოალიცია არჩევნებში მას მხარს დაუჭერს მთელი თავისი რესურსით“.

მაია ფანჯიკიძემ ხაზი გაუსვა ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას ევროკავშირში რუსეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის რეგიონალური თანამშრომლობისა და ეუთოს დეპარტამენტის დირექტორთან გუნარ ვიეგანდთან და საქართველოში ევროკავშირის ელჩთან ფილიპ დიმიტროვთან.

მათ ისაუბრეს გრძელვადიანი დამკვირვებლების ჩამოყვანაზე საქართველოში ეუთოს ეგიდით. „ევროპის ქვეყნები მზად არიან საქართველოში გამოაგზავნონ გრძელვადიანი დამკვირვებლები, მაგრამ ეს პროცესი ვერ იწყება იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა ოფიციალურ მოპატიჟებას არ უგზავნის ეუთოს. მოუპატიჟებლად კი ვერ გამოგზავნიან გრძელვადიან დამკვირვებლებს“, — დასძინა ფანჯიკიძემ.

მანვე ყურადღება გაამახვილა „ფორბს-ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის რევაზ საყევარიშვილის მიერ თანამდებობის დატოვებაზე. ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტები, როგორც ჩანს, ნამდვილად იყო და კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა უნდა დაბეჭდილიყო ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან.

„ფორბს-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა განცხადება, რომ კონფლიქტს ჰქონდა სრულიად სხვა მიზეზი და ცენზურა არაფერ შუაში იყო, და თავად მთავარი რედაქტორი დაადანაშაულა პლაგიატში... „ვფიქრობთ, ეს განცხადება სრულიად არაკომპეტენტურია, საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მცდელობაა, ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული გამომცემლის მოქმედების ნამდვილი მიზეზი კი ცნობილია — კიდევ ერთხელ უნდა დაიბლოკოს ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ნებისმიერი აქტიურობა.

ხელისუფლების მხრიდან ცენზურისა და თავისუფალ მედიაში ჩარევა ჩვენს ქვეყანაში უცხო ხილი არ არის, ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა, თუმცა ამჯერად მისი ხელი მსოფლიო ბრენდის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ პრესტიჟულ გამომცემლობას გადასწვდა“, — დაასკვნა პრესსპიკერმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა კომენტარს გაუკეთებდა იუსტიციის მინისტრის მოადგილის ბურჯალიანის განცხადებას, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების ვადა 5 აპრილი შეიძლება რამდენიმე დღით გადაიწიოს და რამდენად არის ეს ქმედება კანონიერი? მაია ფანჯიკიძემ დასძინა, რომ ეს საკითხი ხელისუფლებისთვის ძალზე მტკივნეულია, მას ეშინია, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაიბრუნოს მოქალაქეობა, რადგან ეს უკავშირდება მომავალში მის პოლიტიკურ აქტივობას. მხოლოდ ამით თუ აიხსნება, რომ ვერ გადაწყვიტეს ეს საკითხი და დამატებით დროს ითხოვენ, დაბნეულები არიანო.

მაია ფანჯიკიძის თქმით, არსებობს ასობით ათასი ხელმოწერა და საერთაშორისო ზეწოლა, რათა ბიძინა ივანიშვილს აღუდგეს მოქალაქეობა, „საქართველოში არსებობს ყველასათვის თანაბარი პირობები პოლიტიკური ბრძოლისა, და ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ აქტივობას.

ვფიქრობ, სწორედ ამ საერთაშორისო ზეწოლის გამო და სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის ნებაა, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს მოქალაქეობა, ვერ გაბედავს სააკაშვილი, რომ მას მოქალაქეობა არ მიანიჭოს. და ეს „ნასესხები“ რამდენიმე დღე, რითაც გაიხანგრძლივეს სიტუაცია, საერთო ჯამში, ხელისუფლებას არაფერს მოუტანს“.

მაია ფანჯიკიძის თქმით, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს ხელისუფლება, მის სახეს უკეთესად წარმოაჩენს, „თუმცა ვშიშობ, ეს სახე უკვე ძალიან ცუდად არის წარმოჩენილი, რადგან ასეთ საკითხებს ამდენი ფიქრი არ სჭირდება. მისი ნამდვილი სახეა — შეშინებული, ხოლო ჩვენს საქმიანობას ეს საკითხი ვერ დააბრკოლებს“, — დაასკვნა ფანჯიკიძემ.

**ნატა ნიბლაძე**

სამართალი

## სოფიო ნიკოლაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

**ჟურნალისტი სოფიო ნიკოლაშვილი გირაოთი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნიკოლაშვილის ადვოკატმა მაგული ღვალაძემ განუცხადა, მოსამართლემ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეცვლოდა. ნიკოლაშვილს გირაო 5000 ლარის ოდენობით შეეფარდა.**

ამასთან ადვოკატის თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმებაზე.

სამართალდამცველების ცნობით, სოფიო ნიკოლაშვილმა მამამისის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან კახეთის სამხარეო მთავარი სამართველოს თანამშრომელ გიორგი სიბაშვილისთვის სროლა სცადა, თუმცა სიბაშვილმა მას იარაღი წაართვა, რის შემდეგაც სოფიო ნიკოლაშვილი პოლიციაში მიიყვანა და სამართალდამცავებს გადასცა.

ნიკოლაშვილის მამა კი, სიბაშვილს შვილისთვის შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს და მის დაკავებას საკუთარ პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## „ამომრჩეველთა ლიგას“ ლევან და გია გაჩეჩილაძეები, გია ყარყარაშვილი და გოგა ხაინდრავა შეუერთდებიან

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კოკა გუნცაძემ განუცხადა.**

**მისივე თქმით, „ამომრჩეველთა ლიგას“, ასევე, შეუერთდებიან საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენლები, რომელთა ვინაობას გუნცაძე ჯერჯერობით არ ახმაურებს.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგა“ გასულ თვეს დაფუძნდა. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან მსახიობი ნანა შონია, ყოფილი პარლამენტარი კოკა გუნცაძე და იურისტი ლევან ჩიკვაიძე.**

## NDI-ის ბოლო კვლევა არსებულ რეალობას საერთოდ არ ასახავს

**„ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კითხვას, თქვენი აზრით, NDI-ის ბოლო კვლევა სრულად ასახავს თუ არა არსებულ რეალობას, გამოკითხულთა 68,6%-მა უპასუხა, რომ კვლევა რეალობას საერთოდ არ ასახავს.**

**რესპონდენტთა 16,2%-ის აზრით, კვლევა რეალობას ნაწილობრივ ასახავს, ხოლო 12,8% მიიჩნევს, რომ კვლევა რეალობას სრულად ასახავს. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს გამოკითხულთა 2,4%-ს.**

**გამოკითხვა „ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდზე 30 მარტიდან 2 აპრილამდე მიმდინარეობდა. საკუთარი მოსაზრება 1012-მა ადამიანმა დააფიქსირა.**

## ახალგორელებს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ განცხადებებს აწერინებენ

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ახალგორელებმა აცნობეს. „დე ფაქტო ადმინისტრაციაში ახალგორელებს მასობრივად აწერინებენ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ტოვებენ საქართველოს მოქალაქეობას. თუმცა, არ მოითხოვენ ამის დამადასტურებელ დოკუმენტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან. ასევე არ მოითხოვენ, რომ მოქალაქემ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ჩააბაროს. ამის შემდეგ კი, იწყება ამ მოქალაქისთვის სამხრეთ ოსეთის პასპორტის მიცემის პროცედურა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თუ ოსური პასპორტების მფლობელები დე ფაქტო ადმინისტრაციას არ დაემორჩილებიან, მათ მიერ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციას ქართულ მხარეს მიაწვდიან, — განაცხადეს ახალგორელებმა.**

**მათივე ინფორმაციით, გამკაცრებულია რაიონში შესასვლელ რუსულ პოსტზე გადაადგილების წესები.**

**„რაიონში შესვლა მხოლოდ ფორმა 39-ის საშუალებით არის შესაძლებელი. ამ ცნობას ვადა ერთი დღის გასულიც რომ ჰქონდეს, მოქალაქეს უკან აბრუნებენ“, — ამბობენ ახალგორელები.**

## რუსეთში შესაძლოა, ეროვნული გვარდია შეიქმნას

**ამის შესახებ რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტა“ წერს. გვარდიის შემადგენლობაში, სავარაუდოდ, 400 ათასი სამხედრო მოსამსახურე შევა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დაექვემდებარება.**

**გვარდია შსს-ს შინაგანი ჯარების, ასევე საჰაერო-სადესანტო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის საფუძველზე შეიქმნება.**



**ეროვნული გვარდიის ამოცანა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კონსტიტუციური წყობის დაცვა იქნება. როგორც გამოცემა წერს, ამჟამად რუსეთის თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების საბჭოსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ერთად, ამზადებს ქვეყნის თავდაცვის ახალ გეგმას იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომლებიც პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა დააყენა. გვარდიას შესაძლოა, შინაგანი ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ნიკოლაი როგოჟნიკმა უხელმძღვანელოს.**

**რუსეთის ეროვნულ გვარდიაში შეიქმნება მსუბუქი საჰაერო-სადესანტო შენაერთები, რომლებიც ჯავშანმანქანებით იქნება აღჭურვილი, ასევე სამთო მოტომსროლელთა ბრიგადები და დაზვერვის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ნაწილები. პირადი შემადგენლობის 80% საკონტრაქტო საფუძველზე იმუშავებს. ახალი ჯარები, უპირველესად, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის შენაერთებით, ასევე ვერტმფრენების რაზმებით აღიჭურვება. არ გამორიცხავენ, რომ შეიქმნას ახალი ორგანი — თავდაცვის საბჭო, რომელიც ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ იურისპრუდენცია

*იუსტიციის მინისტრის მოადგილის თინათინ ბურჯალიანის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია. როგორც ბურჯალიანმა საქართველოს პარლამენტში, სამთავრობო საათზე განმარტა, საქართველოს მთავრობას დაეკისრა 50 ათასი ევრო ოჯახის სასარგებლოდ იმ ხარვეზებისთვის, რასაც გამოძიებისას ჰქონდა ადგილი. გადარიცხვა სამ თვეში განხორციელდა. ახლა კი მიმდინარეობს მუშაობა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან, რომელიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ზედამხედველობს.*

*Presage.tv გირგვლიანის საქმეზე ადვოკატ შალვა შავგულიძეს ესაუბრა.*

# „გირგვლიანის საქმე წინასაარჩევნოდ სერიოზული დარტყმა იქნება მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის“

–საქმე აღსრულებულია მორალური ზიანის ნაწილში და ანაზღაურებულია თანხა, რაც დაეკისრა სახელმწიფოს მორალური ზიანის სანაცვლოდ – 50 ათასი ევროს ოდენობით, მაგრამ ამ გადაწყვეტილების აღსრულება აუცილებლად გულისხმობს ხელახალი გამოძიების და შესაბამისი სასამართლო განხილვების ჩატარებას. ჩვენი მთავრობა ყველანაირად ცდილობს, ეს არ იქნას განხორციელებული, ან ეს გააკეთოს მაქსიმალურად გვიან, ყოველ შემთხვევაში, საშემოდგომო არჩევნების ჩატარების შემდეგ.

**– ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ საქმის ხელახალი გამოძიება უნდა ჩატარდეს?**

– ევროპის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვების დროს, საქართველოში დარღვეული იქნა ევროპის კონვენციის მეორე მუხლი – სიცოცხლის უფლება, მის პროცედურულ ნაწილში, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ მკვლელობის საქმეზე გამოძიებათა სასამართლო განხილვები ჩატარდა საპროცესო კანონის დარღვევით, არაობიექტურად, არასრულად და შესაბამისად, შედეგიც არის არასამართლიანი და არაკანონიერი.

როგორ შეიძლება მოხდეს არაობიექტური მიკერძოებული გამოძიებით დარღვეული უფლების აღდგენა თუ არა, იმავე საქმეზე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებით, ანუ ლოგიკურია საქმის ხელახალი გამოძიება. ევროპის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში უშუალოდ არ მიუთითებს ხოლმე რა უნდა გაკეთდეს, ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ უშუალოდ მიუთითოს რაიმე კონკრეტული ღონისძიების განხორციელება. თუ ეს არ ეხება რაღაც გარკვეული თანხის ანაზღაურებას და ა.შ.

სასამართლო ამბობს, რომ დარღვეული იქნა ეს უფლება და არსებობს ზოგადი პრინციპი, რომ სწორედ სახელმწიფომ უნდა აღადგინოს კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევა პირისადმი.

ევროპის სასამართლო ახდენს უფლების დარღვევის კონსტატირებას და შემდეგ სახელმწიფოს ელოდება, როგორ მოახდენს ამ დარღვეული უფლების აღდგენას. რას შესთავაზებს სახელმწიფო საზოგადოებას ამ უფლების აღდგენის თვალსაზრისით.

**– შესაძლოა ევროპისთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება ასეთ მინიშნებებს ნაკლებად ითვალისწინებს ხოლმე...**

– ამიტომაც მივმართეთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. ეს არის ის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. მინისტრთა კომიტეტს ვთხოვეთ, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებების აღსრულება გულისხმობს ხელახალი გამოძიების ჩატარებას აღნიშნულ საქმეზე, მიეღო შესაბამისი ზომები და ეიძულებინა საქართველოს მთავრობა, საქმეზე დაეწყო ხელახალი გამოძიება.

ჩვენ გავავლეთ პარალელი ღონღაძის საქმესთან, რადგან ეს საქმეები ძალზე ჰგავს ერთმანეთს. როგორც გირგვლიანის, ასევე ღონღაძის საქმეშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ ჩარეული.

იხ. 6 გვ.




◎ მწყურვალი წყალწაღებულნი

# ვაჰ პატრონს ცუდის ქმრისასა!

## როცა არც ქალის გული გულობს და არც მისი „გამომცხობი“ ხელისუფლებისა, მაშინ თვით მოჭარბებული ბუნებრივი სიმდიდრეც ხალხისთვის ერთობ ძვირად ღირებული ხდება

**– ჩვენ არც ნავთობი გვაქვს და არც ბუნებრივი გაზი, რომ მათი გაყიდვით მიღებული შემოსავლებით ვიარსებოთო, – ხშირად უთქვამს ხოლმე ჩვენს მთავარ „ატკრივალკა“ პრეზიდენტს რომელიმე ობიექტის გახსნისას.**

მაგრამ რაც გვაქვს, იმას მაინც თუ მოვახმართ ჩვენსავ ხალხს იმგვარად შეღავათიანად, რომ მან ამით ნაწილობრივ მაინც ამოისუნთქოს?

აი, მაგალითად, „დიქტატორ“ უგო ჩავესს ვენესუელაში, რაკი ეს ქვეყანა მსოფლიოში ნავთობის წარმოება-ექსპორტის მხრივ ერთ-ერთი პირველია, მანქანის ბაკის ბენზინით გავსება იქაურებს სულ ერთი დოლარი უჯდებათ.

სიტყვა „დიქტატორი“ განა იმად ჩავსვი ბრჭყალებში, რომ უგო ჩავესს ასეთად არ მივიჩნევ. იგი მართლაც დიქტატორია, მაგრამ ჩვენი „დემოკრატი“ ხელისუფლებისა და ხელისუფლისგან განსხვავებით, თავის ხალხს მართლაც სიმბოლურ ფასად აძლევს იმას, რითაც ეს ქვეყანა მდიდარია.

ჩვენ, მართალია, ნავთობი არა გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი რამითა ვართ ღვთის მიერ უხვად დაჯილდოებული, რომელთან შედარებით თვით ნავთობი და მისი თანამდევი ბუნებრივი გაზიც „მოკაკვავენ თითს“. ლაპარაკია სასმელ წყალზე, რომლის მარაგითაც მსოფლიოს „საპრიზო სამეულში“ ვართ.



**ჰოდა, თუნდაც მხოლოდ მისი ფასით ვთქვათ, აჯობეს თუ არა ჩვენებურმა „დემოკრატებმა“ ვენესუელელ „დიქტატორს“. ვენესუელელებივით გრძნობენ თუ არა თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის სიკეთეს საქართველოს მკვიდრნი? სიმბოლურ ფასად თუ არა, უწყვეტად, უგრაფიკოდ მაინც თუ ღებულობენ ისინი სასმელ წყალს?**

მოდით, ძალიან შორეულ და, მით უფრო, რესურსებით მდიდარ ქვეყნებს ნუ შევედრებით და იმ ორ უახლოეს მეზობელ ქვეყანაში – აზერბაიჯანსა და სომხეთში – არსებულ ვითარებასთან ჩვენი მონაცემების შედარებით ვისაუბროთ ჩვენებური ტარიფების ავ-კარგზე. ამით, ვფიქრობ, ისიც გამოჩნდება, ხალხს კეთილდღეობისთვის რამდენად მოფიქრალ-მზრუნველი ხელისუფლებაც გვყავს.

ამ მიზნით გთავაზობთ სათანადო ცხრილსა და მცირე განმარტებას, რომელიც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **იოსებ არჩვაძემ** ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა:

**ზოგიერთი სახის მომსახურების ღირებულება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ***
**(აშშ დოლარებში)**

| | საქართველო | აზერბაიჯანი | სომხეთი |
|---|---|---|---|
| სასმელი წყლის მიწოდება, კუბური მეტრი | 1.14** | 0.24 | 0.41 |
| დასუფთავების გადასახადი თვეში ერთ სულზე | ...*** | 0.35 | 0.45 |
| დენი, კვტ.–სთ | 0.104 | 0.10 | 0.08 |
| ბუნებრივი აირი, კუბური მეტრი | 0.314 | 0.13 | 0.33 |
| საქალაქო კომუნალური მიწისზედა ტრანსპორტით ერთი მგზავრობა | 0.28 | 0.44 | 0.22 |

*** – საქართველო – 2011 წელი; აზერბაიჯანი და სომხეთი – 2010 წელი**

**** – საქართველო – მოსახლეობის ერთ სულზე თვეში**

***** – დასუფთავების გადასახადი მიბმულია დენის მოხმარებაზე. ყოველ 1 კვტ.სთ მოხმარებაზე დასუფთავების გადასახადი შეადგენს 5 თეთრს.**

**მცირეოდენი განმარტება:**

**იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები „საერთო შინელიდან“, ან, კავკასიურად უფრო ნაცნობი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „საერთო ნაბდიდან“ გამოვიდნენ, უკვე საკმაოდ დიდია განსხვავება მათი ეკონომიკების სტრუქტურაში, განვითარების დონესა და სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ურთიერთობების ფორმებში. ამაზე გარკვეულ წარმოდგენას ზემოთ მოტანილი ცხრილიც იძლევა.**

**საქართველოში სასმელი წყლის გამრიცხველიანობის დაბალი დონის გამო მოსახლეობის უმეტესობა სასმელ წყალზე ჯერაც სულადობრივ გადასახადს იხდის, მაშინ როცა აზერბაიჯანსა და სომხეთში მომსახურების ამ სახეობაზე გადასახადი მხოლოდ ფაქტობრივად გახარჯული წყლის მოცულობას უკავშირდება (მოსახლეობის ერთ სულზე, შესაბამისად, აზერბაიჯანში 0.31 დოლარი და სომხეთში – 0.45 დოლარი).**

**საშუალოდ თუ ერთი ოთხსულიანი ოჯახი საქართველოში დღე-ღამეში ხარჯავს 600 ლიტრ წყალს, მაშინ ერთი კუბური მეტრი წყლის ტარიფი ასეთი ოჯახისთვის იქნება დაახლოებით 0.25 დოლარი ყოველ ერთ კუბურ მეტრზე, ანუ რამდენადმე უფრო მეტი, ვიდრე აზერბაიჯანში და საგრძნობლად მეტი, ვიდრე სომხეთში. აზერბაიჯანული ტარიფით საშუალო ოთხსულიან ოჯახს თბილისში შეუძლია თავს უფლება მისცეს დღე-ღამეში მოიხმაროს 920 ლიტრი, ხოლო სომხეთში მოქმედი ტარიფით – დაახლოებით 500 ლიტრი წყალი.**

**აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში მოქმედებს გამდინარე (საკანალიზაციო) წყლის ქსელით მომსახურების ტარიფიც (შესაბამისად, აზერბაიჯანში მოსახლეობის ერთ სულზე თვეში – 0.31 დოლარი, ხოლო სომხეთში 1 $м^3$–ზე – 0.073 დოლარი).**

**საქართველო რადიკალურად განსხვავდება სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისგან დასუფთავების ტარიფის შინაარსით და ექსკლუზიურობით (დენის ტარიფთან მიბმით). მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თავად დენის ტარიფი საქართველოში გაცილებით მაღალია სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით.**

**საჭიროა** ამის მერე რაიმე კომენტარი? ვფიქრობ, არა, მაგრამ ორიოდ სიტყვას მაინც ვიტყვი.

თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭამევაო, ნათქვამია. მართლაც ასეა, მაგრამ როდესაც არც ქალის გული გულობს და არც მისი „გამომცხობი“ ხელისუფლების გული გულობს და ძგერს მხოლოდ ხალხის კეთილდღეობისთვის, მაშინ ეს ხალხი ვერც თავისი ქვეყნის თვით ყველაზე უხვი ბუნებრივი სიმდიდრის, ამ შემთხვევაში სასმელი წყლის სიკეთეს იგრძნობს, რადგან წყალში მდგომი, მაგრამ მწყურვალი და სასმელი წყლის შეუფერებლად მაღალი ტარიფით წელმოწყვეტილ-დამხრჩვალი, პოეტისა არ იყოს, ხავსსაც ვერ ებღაუჭება, ისეა წყალწაღებული.

ჩვენი ხელისუფლება კიდევ სულ ტრაბახობს ვირტუალური წარმატება-კეთილდღეობით და, ალბათ, ჩვენში წყლის სიუხვის გამო, ერთობ წყალ-წყალა სამომავლო დაპირებებსაც იძლევა!

..ვაჰ, პატრონს ცუდის ქმრისასა! – ამოუკვნესია გამწარებულ ცოლს, შეჭირვებულს მეუღლისგან სათანადო მხარდაჭერა რომ ვერ უგრძვნია.

მართლაც ცოდვაა ქალი, მაგრამ არანაკლებ საბრალოა იმ ქვეყნის მოსახლეობაც, რომელსაც „ქმარი“ – იქაური მთავრობა – მოყირჭებულ ცოლად მიიჩნევს და არა ღირსეულ თანამოსახლედ!

უბრალო კაცთმოყვარეობა მალაპარაკებს ამას, თორემ, სხვა მხრივ, კაცმა რომ თქვას, რაში უნდა მაინტერესებდეს, როგორ ეპყრობა ვენესუელელი დიქტატორი მმართველი თავის „ცოლს?“

რუსლან რუსია

თვალსაზრისი

# არა მგონია, რომ ვაშინგტონიდან მიღებული გზავნილები მმართველ გუნდამდე არ მივიდა






საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სისუსტის მიზეზებზე, თუ რამდენად მოსალოდნელია კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კიდევ სხვა ცვლილების შეტანა, ასევე იმაზე, რამდენად ადეკვატურად აღიქვა ხელისუფლებამ ვაშინგტონიდან მიღებული გზავნილები, **„ინტერპრესნიუსი“** არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“** ხელმძღვანელს **ეკა გიგაურს** ესაუბრა.

**– ქალბატონო ეკა, როგორ შეაფასებდით თბილისში გამართულ „სამოქალაქო სოლიდარობის“ აქციებს? სამწუხაროდ, აქციებმა დაგვანახა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ძლიერ და ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არაა და შესაბამისია მის აქტიურობაზე ხელისუფლების რეაქციაც...**

– საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, ნელ-ნელა, მაგრამ ანგარიშგასაწევ ძალად მაინც ყალიბდება. ფაქტია, რომ „სამოქალაქო სოლიდარობის“ აქციას ბევრი მხრდამჭერი არ ჰყოლია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მრგვალ ბაღთან დაგეგმილ აქციაზე, რომელზეც ჩვენი ორგანიზაცია იყო პასუხისმგებელი და სადაც საუბარი იყო სამართლიან არჩევნებზე, საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. შესაძლოა, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ უახლოეს პერიოდში საზოგადოების მოთხოვნა სწორედ სამართლიანი არჩევნებია.

როდესაც ჩვენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ახალი საარჩევნო კოდექსის ხარვეზებზე ვმუშაობდით, ძალიან ძნელი აღმოჩნდა მოსახლეობისთვის არსებულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ახსნა და მათგან მხარდაჭერის მიღება. მაგრამ, როგორც კი ჩვენ, აქცენტები კონკრეტულ საკითხებზე გავაკეთეთ, მაშინვე უფრო გაიოლდა საზოგადოების ყურადღების მოპყრობა. ამის გამოც ხელისუფლებასთანაც ამ თემებზე საუბარი უფრო ადვილი გახდა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც და იმის გამოც გაითვალისწინა ხელისუფლებამ ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციები, რომ ჩვენ ამ თემებზე მათთან საკმაოდ მომზადებულები ვიყავით. ჩვენ გვქონდა ჩვენი ხედვები და ეს ხედვები კონკრეტულად გვქონდა ჩამოყალიბებული.

**– პარლამენტმა არასამთავრობო ორგანიზაციათა მოთხოვნით კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მნიშვნელოვანი ცვლილებები პირველი მოსმენით უკვე მიიღო. ითქვა, რომ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება კიდევ შესაძლებელია. რა ცვლილებები იქნა მიღებული და, სავარაუდოდ, რა საკითხებზე შეიძლება ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან გონივრულ დათმობებს?**

– როცა ჩვენ ვხედავთ, რომ პროცესი პოზიტიურად მიმდინარეობს, ამას ხაზგასმით აღვნიშნავთ კიდეც. ამ თემებზე ხელისუფლებასთან კონსულტაციები პოზიტიურად წარიმართა და ძალიანაც კარგია, რომ ხელისუფლებამ ჩვენი რეკომენდაციების 90%-ზე მეტი გაითვალისწინა. პირადად მე, ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ კანონში აღარ იარსებებს „პარტიასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირის მცნება“. 26-ე პრიმა მუხლი სწორედ ამას ეხებოდა. ის იყო ძალიან ზოგადი და გაუგებარი. ძნელი გასაგები იყო, თუ როდის შეიძლება მიჩნეულიყო პირი პარტიასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირად. თუ პირის პარტიასთან კავშირში ყოფნა დადგინდებოდა, მაშინ მასზე გავრცელდებოდა პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები. განხორციელებული ცვლილებებით, იმ შემთხვევაში გავრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე კონკრეტული შეზღუდვა, თუკი ამ პირს გამჟღავნებული აქვს საარჩევნო მიზნები და ამისთვის ის ხარჯავს ფულსა და სხვა მატერიალურ რესურსს.

გარდა ამისა, თუ ადრე, კონტროლის პალატას ჰქონდა განუსაზღვრელი უფლებები და მას შეეძლო ფიზიკური პირის მთლიანად დაყადაღება, ახლა მისი უფლებები გაიწერება. ამ პროცესში ჩაერთვება სასამართლო, სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება საჭირო ქონების დაყადაღებისთვის. რეალურად, ქონების ის ნაწილი დაყადაღდება, რომელიც სავარაუდოდ საჭიროა პირის მიერ გარკვეული ჯარიმის გადასახდელად. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საჩუქრის მიღებაზე და მოთხოვნისთვის აღარ დადგება პირის პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, ჩვენ კვლავაც ვერ შევთანხმდით იმაზე, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ადამიანს, რომელიც პოლიტიკური პარტიისგან მიიღებს 100 ლარამდე ოდენობის საჩუქარს. ხელისუფლება 100 ლარზე მეტი ოდენობის საჩუქრის მიღებაზე, ფიზიკურ პირზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას კვლავაც აყენებს. ჩვენი აზრით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მთლიანად მომსყიდველ პირს უნდა დაეკისროს.

მეორე და მესამე მოსმენებამდე ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე გვინდა ხელისუფლებასთან საუბარი. კარგია, რომ საჩუქრის მოთხოვნაზე პასუხისმგებლობა ამოღებულია, მაგრამ გვინდა, საჩუქრის მიღებაზეც აღარ ვრცელდებოდეს პასუხისმგებლობა. არის კიდევ ერთი მუხლი, რომელიც შეეხება იმას, რომ თუკი ფიზიკური პირები, ერთი და იგივე პირისგან იღებენ შემოსავალს, მაშინ მათგან შემოწირულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ათას ლარს.

ჩვენთვის, ზოგადად, გაუგებარია კანონში ამ მუხლის არსებობა. ჩვენ გვინდოდა მთლიანად ამოგველო ეს მუხლი. ვფიქრობ, თუკი კომპანია, ანუ იურიდიული პირი არიგებს ხელფასებს ან პრემიებს იმისთვის, რომ ადამიანებმა გარკვეული შემოწირულობა განახორციელონ პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, ამ შემთხვევაში ეს არის სხვა პირის მეშვეობით შემოწირულობის განხორციელება და ეს უკვე დარეგულირებულია კანონით. მიგვაჩნია, რომ ირღვევა იმ ადამიანების უფლებები, რომლებმაც შესაძლოა, სულაც არ იცოდნენ, რომ რომელიღაც კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს გარკვეული თანხები. გაუგებარია, ამგვარ ფაქტებზე როგორ უნდა აღასრულოს კონტროლი თავად კონტროლის პალატამ.

**– რამდენად სავარაუდოა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არა მარტო მედიაგარემო, არამედ საარჩევნო გარემო და შეიქმნება საიმედო გარანტიები შემოდგომისთვის სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის? ექსპერტთა უმრავლესობისა და ოპოზიციონერ ლიდერთა აზრით, არანაირი საფუძველი იმისა, რომ ამის იმედი გვქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, არ არსებობს...**

– პირადად მე, თავს ავარიდებდი იმაზე საუბარს, რომ საარჩევნო გარემო იქნება არასამართლიანი. ვფიქრობ, ამგვარმა საუბარმა, შესაძლოა, საზოგადოებაში არჩევნების მიმართ აპათია გამოიწვიოს, ყველამ ჩათვალოს, რომ არჩევნებში მონაწილეობას არანაირი აზრი არ აქვს. ეს დაუშვებელია და ვისაც მართლაც სამართლიანი არჩევნების ჩატარება სურს, მასში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ კანონში ცვლილებები შედის, იმის გამო, რომ კონტროლის პალატის მხრიდან კანონის აღსრულება შერჩევით ხდება, კონტროლის პალატის საქმიანობა ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. მხედველობაში მაქვს კონტროლის პალატის მხრიდან ბოლო პერიოდში პოლიტიკურ აქტივისტთა დაკითხვები. საუბარი ნამდვილად არ არის იმაზე, რომ კონტროლის პალატამ არ უნდა შეაგროვოს მონაცემები პარტიების მიერ ფინანსების ხარჯვაზე, საუბარია იმაზე, თუ რა ფორმით მოახდინეს მათ ხალხის გამოძახება და დაკითხვა.

რაც შეეხება მედიაგარემოს, მის დღევანდელ მდგომარეობას უარყოფითად შევაფასებდი. ტელევიზიები, რომლებსაც ახლო კონტაქტები აქვთ ხელისუფლებასთან, ძალიან ხშირად, ხელისუფლების პროპაგანდისტულ მანქანებად გამოიყენებიან. ეს ტელევიზიები ერთი პოლიტიკური ძალის, კერძოდ, ხელისუფლების პრომოუშენით არიან დაკავებული. ამისთვის კი საბიუჯეტო რესურსი იხარჯება, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

**– თქვენი ორგანიზაცია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნებამდე სხვადასხვა სადამკვირვებლო მისიების ჩამოსვლას ითხოვდნენ. რა ტიპის სადამკვირვებლო მისიების ჩამოსვლას ითხოვთ და, სავარაუდოდ, როდის შეიძლება ველოდოთ საქართველოში ე.ნ. გრძელვადიანი დამკვირვებლების ჩამოსვლას?**

– ჩვენ საქართველოს მთავრობისგან ვითხოვდით იმას, რომ მათ ოფიციალური მოთხოვნა გაეგზავნათ ეუთოს „ოდირისთვის“, რომ ეუთოს საქართველოში გამოეგზავნა სადამკვირვებლო მისია, რომელიც დააკვირდებოდა არა მარტო წინასაარჩევნო პერიოდს. არსებობს საჭიროებათა შეფასების მისია, რომელიც არ არის სადამკვირვებლო მისიის ნაწილი და რომლის ჩამოსასვლელად არ არის საჭირო ხელისუფლების მოწვევა. ამ შემთხვევაში ისინი სწავლობენ წინასაარჩევნო გარემოს და შემდგომ მათი დასკვნა საფუძვლად ედება იმ გადაწყვეტილებას, თუ რა ტიპის მისია უნდა ჩამოვიდეს ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ ტიპის სადამკვირვებლო მისიების ჩამოსვლისთვის კი ხელისუფლების მოწვევაა საჭირო.

**– აშშ-ის დემოკრატმა კონგრესმენმა ჯიმ მაკდერმოტმა სენატში შეიტანა კანონპროექტი, სახელწოდებით – „2012 წლის საქართველოს დემოკრატიული აქტი“. კანონპროექტის თანახმად, ვიდრე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი არ დაადასტურებს, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდა, აშშ-მა საქართველოს დახმარება არ უნდა გამოუყოს. რას შეიძლება ნიშნავდეს ამერიკელი სენატორისგან ამგვარი კანონის ინიცირება და რამდენად სავარაუდოა აშშ-ის სენატის მიერ ამ კანონის მიღება?**

– რაც შეეხება ამ კანონის მიღების ალბათობას, ვერაფერს ვიტყვი. ამ თემაზე ჩვენ მმართველი გუნდისგან მოვისმინეთ განმარტებები, რომ ეს კანონპროექტი ლობისტების მუშაობის შედეგად შემუშავდა. კანონპროექტის პრეამბულაში საუბარია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აშშ-სთვის საქართველოსთან თანამშრომლობა. ამაზე შტატებში ყოველთვის ყველა ხაზგასმით საუბრობს. რაც შეეხება იმაზე საუბარს, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა გაძლიერდეს და ამ მიმართულებით ბევრი რეფორმაა გასატარებელი – ამაზე საუბარია არა მხოლოდ ამ კანონპროექტში, არამედ ამ თემებზე აშშ-ის სენატში განცხადებები გააკეთა საქართველოში აშშ-ის მომავალმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმაც. მან ისიც აღნიშნა, რომ ოფიციალურმა თბილისმა უნდა იცოდეს, ვაშინგტონიდან მას აკვირდებიან და იმის გამო, რომ შემოდგომისთვის დაგეგმილი არჩევნები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარება. ამ კანონპროექტში მოყვანილია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე. ესეც ახალი არ არის, ვინაიდან ამაზე საუბარი ყოველთვის იყო. არ მგონია, რომ აშშ-მა საქართველოს დახმარება შეუწყვიტოს. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში საუბარი მიდის იმაზე, თუ როგორ უნდა დაეხმარონ განვითარებული ქვეყნები დემოკრატიული განვითარების გზაზე შემდგარ სახელმწიფოებს. უნდა იყოს თუ არა მათი მხრიდან გარკვეული მოთხოვნები, რის შემდეგაც დახმარება შესაძლებელი იქნება.

**– თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აღიქვა ხელისუფლებამ ვაშინგტონიდან უკანასკნელ პერიოდში მიღებული გზავნილები?**

– ამ გზავნილებისადმი ხელისუფლებას ცალსახა დამოკიდებულება არ ჰქონია. ზოგადად, ვიცით, რომ ხელისუფლება მტკივნეულად აღიქვამს კრიტიკას. შესაძლოა, ეს იმის გამოც იყოს, რომ გარკვეული მიმართულებით, იგივე კორუფციასთან ბრძოლის საქმეში და სხვა საქმეებში მას მიღწევები რეალურად აქვს. ჩემი აზრით, ვაშინგტონიდან მიღებულ გზავნილებთან მიმართებაში სახელისუფლებო გუნდში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა. ამის საფუძველს მათივე მხრიდან გაკეთებული სხვადასხვა კომენტარები იძლევა. თუმცა, არ მგონია, რომ ვაშინგტონიდან მიღებული გზავნილები მმართველ გუნდამდე არ მივიდა.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## ვაკე-საბურთალოს რაიონის ინვენტარიზაცია დასრულდა

**ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას დამისამართების პროექტის ფარგლებში ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული მონაცემები, მტკვრის მარცხენა სანაპიროს დასრულებული არეალის ელექტრონული რუკა, სქემატური ნახაზები და გეომონაცემთა ბაზა გადაეცა...**

**გუშინ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის თავმჯდომარემ სოსო წიქარიშვილმა აღნიშნულ ინფორმაცია ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას გადასცა.**

**თბილისის დამისამართების პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა ვაკე-საბურთალოს რაიონის ინვენტარიზაცია. აღიწერა ყველა ქუჩა, სახლი და ბინა; შეგროვდა ვაკე-საბურთალოს რაიონში არსებული ქუჩების შესახებ დეტალური ინფორმაციები: განისაზღვრა თითოეული ქუჩის დასაწყისი და დასასრული, აღიწერა არსებული ხეივნები, უსაფრთხოების ობიექტები, ხიდები თუ სკვერები, დადგინდა ქუჩების მიმართულება და სხვა სამუშაოები; შეგროვდა ინფორმაცია საცხოვრებელი, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული, სახელმწიფო, სავაჭრო, ჯანდაცვის, საბანკო და სხვა ტიპის შენობებზე...**

ინტერპრესი

№63. სამშაბათი 3 აპრილი, 2012 წელი.

SIC!

# გინესის რეკორდსმენი „ქურდი“ კალათბურთელი

## ირაკლი კაკალიას დაუმტკიცებელი ქურდობებისთვის 30 წელი მიუსაჯეს

შეუძლებელია ამ სათაურმა არ მიიქციოს მკითხველის ყურადღება. საქართველოში სასამართლოების უსამართლობების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მსგავსი რამ მართლაც არ გამიგონია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოსამართლე ზვიად ესებუას თავმჯდომარეობით ირაკლი კაკალიას თავისუფლების აღკვეთა 30 წლით მიუსაჯა. მას ბრალად ედება სხვისი მოძრავი ქონების დაუფლება – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ზუგდიდში დაბადებული – ამჟამად თბილისში მცხოვრები 27 წლის, 211 სანტიმეტრის სიმაღლის ყოფილი კალათბურთელი ირაკლი კაკალია არასოდეს ყოფილა შემჩნეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში. 2011 წლის 14 ნოემბერს ირაკლი კაკალია დააკავეს. მან დაკავებისას მოითხოვა ადვოკატი, რისი აყვანის უფლებაც არ მისცეს.

ბრალდებულ ირაკლი კაკალიას ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის განმარტებით ბრალდებულმა წინასწარ გამოძიებისას მისცა აღიარებითი ჩვენება და განმარტა, რომ მან ჩაიდინა ქურდობები და ადვოკატის მოწვევამდე აღიარა ქურდობის 25 ეპიზოდი. „ირაკლი კაკალიას გამომძიებელი დაპირდა, თუ აღიარებდა მისთვის წარდგენილ ეპიზოდებს, მას გაუფორმებდნენ საპროცესო შეთანხმებას და პროკურორი სასჯელის ზომად მოითხოვდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას. წაყენებული ბრალდებით ირაკლი კაკალიამ 2011 წლის 29 მარტს, ღამის საათებში, თბილისში, მეტრეველის ქუჩაზე, წინასწარ მომარჯვებული საკვნეტელას გამოყენებით გადაჭრა სადარბაზოს კედელზე დამონტაჟებული თელასის კუთვნილი სპილენძის ელექტროსადენები. ასევე ირაკლი კაკალიას წარდგენილი აქვს ქურდობის ეპიზოდები მარტში, ივნისში, აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერში. ე.ი ირაკლი კაკალია ქურდობდა შვიდი თვენახევრის განმავლობაში. დაუჯერებელია, ამ ხნის განმავლობაში ჩაიდინო ქურდობის 25 ეპიზოდი და ყველა ეპიზოდი გახსოვდეს. ეს ყოველგვარ რეალობას მოკლებულია. ირაკლი კაკალია დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მოტყუებით იქნა გამოყვანილი და გამოძიებამ ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი. თითქოს ირაკლი კაკალიამ მიუთითა ის ადგილები, სადაც იქურდა, – აღნიშნა ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა. მისი თქმით, არც ერთ ეპიზოდზე ბრალდებას საბუღალტრო ექსპერტიზა არ დაუნიშნია და რეალური ზარალი არ დაუდგენია.

ბრალდებული ირაკლი კაკალია აცხადებს, რომ დაკავების დროს მასზე ზეწოლა მოახდინეს. „მე მათ ვუთხარი, რომ არავითარ ინფორმაციას არ მივაწვდიდი ადვოკატის გარეშე. გამომძიებელმა ვანო ფიროსმანიშვილმა, როგორც კი გაიგო, რომ არ ვაღიარებდი დანაშაულს, კისერში დამარტყა ცეცხლსასროლი იარაღი. ცოტა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ ის ჩემი ახლობელია და მირჩია ჩემს თავზე ამეღო და მეღიარებინა ის დანაშაულობები, რაც არ იყო ჩემს მიერ ჩადენილი და ვინაიდან არ ვიყავი ნასამართლევი, მომისჯიდნენ 2 წელს და გამიფორმებდნენ საპროცესო შეთანხმებას“, – აცხადებს ირაკლი კაკალია.

საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმე ვერ განმარტავს, რომ მათი ელექტროსადენი მოიპარა ირაკლი კაკალიამ. „ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით. „საგამოძიებო ექსპერიმენტის“, იარაღის ჩარტყმის და ფიზიკური ზეწოლის შედეგად ირაკლი კაკალია იძულებული გახდა დამდგარიყო პოლიციელების მიერ მითითებულ ადგილებზე და ეჩვენებინა მის მიერ „ჩადენილი“ ქურდობები, ამიტომაც, ირაკლი კაკალიას მიმართ უნდა დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი“, განაცხადა ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა.

გაოგნებული და დაზაფრულია ირაკლი კაკალიას მამა - ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი მერაბ კაკალია. „ვფიქრობ და ვერ გამირკვევია ვის და რატომ დასჭირდათ ჩემი შვილის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება. ის არასოდეს არ ყოფილა შემჩნეული კანონსაწინააღმდეგო საქციელში. სპორტსმენი იყო – კალათბურთს თამაშობდა სოხუმის „კოლხაში“. ხერხემლის გამრუდების გამო დაანება თავი თამაშს. მას ბრალად წაუყენეს საოცარი რამ – 25 სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს სადენების მოპარვა და ირაკლი უთითებს ადგილს, რიცხვს, საათს, წონას, ზომას ოცდახუთჯერვე. ეს ხომ დაუჯერებელია. ამის მიხედვით ირაკლი „გინესების რეკორდების“ წიგნშია შესაყვანი. რატომ დასაჯეს ასე უმოწყალოდ ჩემი შვილი? ვის სჭირდებოდა ეს? ვის ინტერესებში შედიოდა ყოველივე ეს ? კითხულობს მერაბ კაკალია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება გასაჩივრდება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ვნახოთ, რას იტყვის სააპელაციო...

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

ჯიბეში გვიძვრებიან

**ნათქვამია, ყველა ხუმრობაში არის ჭეშმარიტების მარცვალიო... ხშირად იმასაც ამბობენ, რომ ნებისმიერ ხუმრობაში სახუმარო მხოლოდ ერთი მარცვალია და დანარჩენი – სიმართლე. რამდენიმე წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, ელექტროენერგიის გადასახადს დასუფთავება მიებმებაო, ალბათ, სრულ ხუმრობაში ჩაუთვლიდნენ, თუმცა აგერ უკვე თითქმის ერთი წელია ნელ-ნელა მივეჩვიეთ და ახლა ხუმრობით იმასაც ვამბობთ, რომ მალე სუნთქვის გადასახადიც დაწესდება. როგორც პრესაგე.ტვ-მ შეიტყო, არ არის გამორიცხული, ძალიან მალე (1 ივნისიდან) ამ შავ იუმორშიც აღმოჩნდეს სერიოზული ელემენტი.**

**როგორც ჩვენთან საუბარში „ეკოლოგიური ურბანისტიკის ცენტრის“ დირექტორი ვაჟა ერაძე აცხადებს, ხელისუფლება ახალი გადასახადის დაწესებას აპირებს, რომელიც ამჯერად ავტომფლობელების ჯიბეს დაარტყამს. ერაძის თქმით, თბილისის მერიაში განიხილება პროექტი, რომლის თანახმადაც, ავტომფლობელებს ეკოლოგიის გადასახადის გადახდა მოუწევთ.**

# ავტომფლობელებს ეკოლოგიის გადასახადი დაუწესდებათ

ვაჟა ერაძე: „აღნიშნული პროექტი მხოლოდ განხილვის ეტაპზეა, თუმცა, ყველას მოგვეხსენება, თუ როგორი სისწრაფით შეუძლია ხელისუფლებას მისთვის საჭირო კანონპროექტების კანონრეალობად ქცევა.

**– ანუ რას განიხილავენ?**

– პროექტის ინიციატორია თბილისის მერიის ჟანგბადის კონტროლის სამსახურის უფროსი კოტე მახარაშვილი. არსი შემდეგში მდგომარეობს: ავტომფლობელები, კილომეტრაჟის მიხედვით გადაიხდიან ეკოლოგიის, კერძოდ – ჰაერის დაბინძურების გადასახადს. მოხდება სპიდომეტრის ჩვენების დაფიქსირება, რის შემდეგაც ავტომფლობელი ვალდებული იქნება, დროის განსაზღვრული მონაკვეთის შემდეგ, დაფარული კილომეტრების მიხედვით გადაიხადოს გარკვეული თანხა.

**– რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

– ჩათვალეთ, რომ უკვე გადაწყვეტილია. ამჟამად მსჯელობა იმაზე მიდის, თუ რამდენ ხანში ერთხელ მოუწევს ავტომფლობელს ბანკში მისვლა და როგორი იქნება გადასახადის ოდენობა. სავარაუდოდ, კილომეტრზე დაწესდება ერთი თეთრი და როგორც ანგარიშობენ, ბიუჯეტი ერთ ავტომობილზე, საშუალოდ, თვეში ათი ლარით შეივსება. ასევე, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, გადახდის პერიოდულობა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდეს წელიწადში ერთხელ.

**– ვინ გააკონტროლებს და როგორი იქნება „ნულოვანი ტოლერანტობა“ ურჩი და მოუწესრიგებელი მძღოლების მიმართ?**

– კონტროლს მერიის ჟანგბადის კონტროლის სამსახური განახორციელებს, ალბათ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად. უზნის ინსპექტორების დატრენინგება უკვე დაწყებულია. რაც შეეხება სასჯელს, როგორც მითხრეს, სწორედ ამის თაობაზე ვერ თანხმდებიან. მოგეხსენებათ, არჩევნები ახლოვდება და მოსახლეობის ზედმეტ გაღიზიანებას ერიდებიან. ცდილობენ, არც მწვადი დაწვან და არც შამფური.

**– თუ ეს გადასახადი დააწესეს, „შამფური“ უკვე დამწვარი იქნება...**

– მაგაშია საქმე... ესეც გაითვალისწინეს – პარკირების გადასახადი ოდნავ შემცირდება, მოხდება ამ ფაქტის გაპიარება, და ამ პიარ-კამპანიაში ჩაიკარგება ე.წ. „ჟანგბადის გადასახადი“.

**– ეს გადასახადი მხოლოდ თბილისელებს შეეხებათ?**

– პირველ ეტაპზე – მხოლოდ თბილისელებს, შემდეგ კი – ყველა დიდ ქალაქში (ქუთაისი, ბათუმი, თელავი, რუსთავი...ძ რეგისტრირებულ ავტომობილებსაც. უბრალოდ, თბილისი ამ შემთხვევაში ექსპერიმენტის პოლიგონია“.

პრესაგე.ტვ დაუკავშირდა თბილისის მერიის ჟანგბადის კონტროლის სამსახურის უფროსს კოტე მახარაშვილს, რომელმაც ჩვენი ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

**თემურ დოლიძე**

„ოპელი“, „მერსედესი“...

# თითო კაცზე თითო მანქანა - საქართველოში ეს შესაძლებელია

საქართველოში, სადაც 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, დაახლოებით 700 000 მანქანა მოძრაობს, ანუ ყოველ 4 ადამიანზე ერთი ავტომობილი მოდის, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია და პროცენტულად ევროპის განვითარებულ ქვეყნებსაც კი უტოლდება. თუკი ქართველებმა ასეთი ტემპით გააგრძელეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულიდან მეორადი მანქანების ჩამოყვანა, მალე თითო კაცზე თითო ავტომობილი გვექნება.

მიუხედავად ახალი ავტომობილის 10%-ით, ხოლო მეორადი მანქანების 15%-ით გაძვირებისა, დღეს გაყიდული პროდუქციის 90% მაინც მეორად ავტომობილებზე მოდის. ავტოიმპორტიორთა პროგნოზით, შესაძლოა, სულ მალე ფასების მატება დაფიქსირდეს, ამიტომ მომხმარებელს მანქანების მორიგი გაიაფების მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს.



კომპანიების უმეტესობას ავტომობილების რეალიზაცია ამ ეტაპზეც უჭირს. ძირითად დაბრკოლებად კვლავ მყიდველის დეფიციტი რჩება და აგრეთვე საწვავის განსაკუთრებით მაღალი ფასი.

„პორშეს ცენტრის“ დირექტორის დავით ნოზაძის განმარტებით,ახალ ავტომობილებზე მოთხოვნა ამ ეტაპზეც შენარჩუნებულია. „რაც შეეხება საწვავის ფასის გავლენას, ცხადია, რაღაც დონეზე გავლენას ნამდვილად ახდენს. ამ შემთხვევაში მყიდველი მცირელიტრაჟიან ძრავას ანიჭებს უპირატესობას და ამ ფაქტორის გათვალისწინებით ცდილობს სასურველი ავტომანქანის შეძენას“, – აცხადებს ნოზაძე.

2007-2011 წლებში საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა მუდმივად და დიდი სისწრაფით იზრდება. შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის კვლევის მიხედვით, 2007 წლიდან 2011 წლამდე დინამიკაში ავტოპარკი ყოველწლიურად საშუალოდ 9,6 პროცენტით გაიზარდა. 2007 წელს საქართველოში – 517 574; 2008 წელს – 603 380; 2009 წელს – 647 209; 2010 წელს – 693 873; 2011 წელს – 745 232 ავტომანქანაა რეგისტრირებული. მათგან 65,7 პროცენტი მსუბუქია, 17,5 პროცენტი – ჯიპი, 9,8 პროცენტი – სატვირთო, 6,6 პროცენტი – სამგზავრო, 0,4 პროცენტი – მოტოციკლეტი.

საქართველოში, ძირითადად, 11-20 წლის ან უფრო „ასაკოვანი“ ავტომობილები მოძრაობს. 2011 წელს ყველაზე მეტი სატრანსპორტო საშუალება (349 973ძ 11-20 წლის დაფიქსირდა, 328 204 მანქანა 20 წელზე მეტი ასაკისა, 33 207 მანქანა – 7-10 წლის, 22 621 მანქანა – 4-6 წლის, 11 228 მანქანა კი – 1-3 წლის.

კვლევაში ავტოპარკის ზრდისა და ცვალებადობის ტენდენციების გარდა, ასევე ცალკეული მარკა-მოდელების იმპორტ-ექსპორტისა და რეგისტრაციის დინამიკა და თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი.

რა გასაკვირია და ჩვენთან ყველაზე პოპულარული გერმანული ავტომობილებია. 10 უცხოური მარკის ავტომანქანას შორის 5 გერმანული ავტოინდუსტრიის ნაწარმია, 4 კი – იაპონური პროდუქციაა. ყველაზე გავრცელებული მარკა „ოპელია“. საქართველოში რეგისტრირებული ავტომანქანებიდან 84 174 სწორედ ამ მარკისაა, 82 901 – „მერსედესია“, 68 547 – „ფორდი“, 42 613 – „ფოლკსვაგენი“, 34 797 – „ბეემვე“, 21 783 – „მიცუბიში პაჯერო“, 20 388 – „ტოიოტა“, 11 340 – „ჰონდა“, 10 524 – „ნისანი“, 7 588 – „აუდია“.

მსუბუქ ავტომობილებში ყველაზე მეტად გავრცელებული მოდელი „ოპელ ვექტრაა“ – 32 743, შემდეგ მოდის „ოპელ ასტრა“ – 32 049, „ე“ კლასის „მერსედეს ბენცი“ - 28 007, „ც“ კლასის „მერსედეს ბენცი“ – 22 603, “ფოლკსვაგენ გოლფი“ – 21 114, მეხუთე სერიის „ბეემვე“ – 16054, მესამე სერიის „ბეემვე“ – 14 229, „მიცუბიშიპაჯერო“ – 13 258, „ოპელ ომეგა“ – 9 336, „ფოლკსვაგენ პასატი“ – 7 407.

მსუბუქ ავტომანქანებში ყველაზე მეტად ვერცხლისფერი სჭარბობს. 142 666 ავტომანქანა ვერცხლისფერია, 110 471 – თეთრი, 84 894 – ლურჯი, 68 011 - მწვანე, 66 038 – წითელი, 62 538 – შავი, 43 542 – ყავისფერი, 19 664 – ყვითელი, 9 188 – ნარინჯისფერი, 8 000 – იისფერი, 3 992 – მეწამული, 655 კი – ვარდისფერი.

მსუბუქ ავტომობილებში 95,7 პროცენტი ბენზინზე, 4,3 პროცენტი კი – დიზელზეა. ავტოსატრანსპორტო საშუალებების 89,6 პროცენტს – ფიზიკური, 10,4 პროცენტს კი იურიდიული პირები ფლობენ.

**გიორგი ბექაური**

**რჩეული**

# ოქროსთავიანი და ოქროსხელებიანი

ცხოვრებიდან ამ ბრწყინვალე ფიზიკოს-ექსპერიმენტატორის წასვლა შეუვსებ დანაკლისად წარმოჩნდა ქართული მეცნიერებისათვის, ჩვენი ეროვნული აკადემიისათვის, ქართველი საზოგადოებრიობისათვის. თენგიზის ოჯახზე, ახლობლებზე თუ მეგობრებზე (ვაგლახ, უკვე მცირერიცხოვნებზეძ რომ არა ვთქვათ.რა...

ათეულობით წლის მაძილზე მხვდა განსვენებულთან ახლო ამხანაგობის პატივი და უმაღლესი დონის იმის მკვლევრობას მივუძღვენი არაერთი პუბლიკაცია, აკადემიკოს თენგიზ სანაძის მეცნიერულ ცხოვრებაში ეგების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის – დისკრეტული გაჯერების აღმოჩენის გაშუქებით დაწყებული (აღმოჩენის არსი ისაა, რომ დროის ერთობ მცირე, მეათასედი წამის რიგისა, მონაკვეთში ხერხდება ძვირფასი ინფორმაციის მოპოვება ბირთვთა ურთიერთქმედების თაობაზე; შედარებისათვის – ღამის ჭექა-ქუხილში გაელვება, როცა ციდან ამდენი რამ გადაგვეშლება თვალწინ, ოღონდ მყისიერად...ძ; და მაინც, მას აქეთ, რაც აღესრულა, სულ მაწუხებდა სინდისის ქენჯნა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა – ჯეროვნად ვერ გამოვეთხოვე, იმის ხსოვნას პატივგება დავაკელი-მეთქი. ამის ფიქრით მივეცი თავს ნება, რომ ღრმა მწუხარების ჟამს შემეწუხებინა თენგიზის ერთგული თანამეცხედრე და ერთობლივად გვესაუბრა განსვენებულზე. რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, აველინა დავითულიანთან, ფიზიკოს-თეორეტიკოსთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორთან და ქართული აკადემიის წევრთან შეხვედრის შედეგადაა დაწერილი...

თენგიზი ორი დევიზით მიდიოდა ცხოვრების გზაზე: უნდა ყველაფერი შევძლო; მთავარია სიკეთე. „მეიკ მანეი“ – ფულის კეთება – არ აინტერესებდა. მითქვამს ხოლმე – შენ ხომ ედისონივით ხარ – გონებაც გიჭრის და ხელიც მარჯვე გაქვს. მილიონერი უნდა იყოს შენებრ ნიჭიერი-მეთქი. გაგიგონია? „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია!“ – თავისებურად ჰქონდა გააზრებული: რასაცა გასცემ, ის არ არის დაკარგული, ის გამდიდრებს; ამიტომაც ყველას ასწავლიდა სხვადასხვა ტექნოლოგიას, უზიარებდა მეთოდებს, რჩევებს, დარიგებებს. 1990-იანი წლების განსაკუთრებული გაჭირვებისას, სიცივეებში, რამდენს გაუკეთა თუ შეუკეთა ღუმელები, ქურები, გათბობის სხვა საშუალებები.



საქმეში ულალატო გახლდათ და ვერც სხვისი ღალატი წარმოედგინა: არაო, შეუძლებელია, ეგ ხომ ჩემი ძმაკაციაო. რომ უმუხთლებდნენ, ამართლებდა, გულში არ ჩაიდებდა – ალბათ სხვაგვარად არ შეეძლოო; ვეტყოდი – შენ აი, არ ამტყუნებ, თვითონ თუ მოიქცეოდი ასე-მეთქი? – არაო; – აბა, რატომ ამართლებ-მეთქი.

კარგად იცოდა თავისი ფასი: ჩემი აღმოჩენა ნიკორწმინდის ჩუქურთმასავითაა, ქართული მეცნიერების ისტორიაში შევაო; არადა, დისკრეტული გაჯერების აღმოჩენა შორს გასცდა საქართველოსა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც: ამჟამინდელი რეგულარულად გამომავალი საერთაშორისო ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის საზოგადოების ჟურნალის (IESძ ყდას ამშვენებს თენგიზ სანაძის აღმოჩენის ლოგო; ყდის შიგნით მოყვანილია ამ დარგში საგულისხმო წვლილის შემტანთა ნუსხა, ძირითადად, ნობელიანტთა (ფრანგი ანატოლი აბრაგამი, ამერიკელი ფელიქს ბლოხი, რუსი ალექსანდრე პროხოროვიძ. სიაში ქართველი თენგიზ სანაძეც შედის...

სხარტი ჭკუის პატრონს წმინდა მათემატიკური ფხაც დაჰყვა. ჰედელის ერთ ფუნდამენტურ თეორემას (კურტ ჰედელი – XX საუკუნის სახელგანსმენილი მათემატიკოსი და ლოგიკოსი, ავსტრიელი და შემდგომ „გაამერიკელებული“, აშშ-ის უმაღლესი ჯილდოს, აინშტაინის პრემიის ლაურეატი – **თ. ე.**ძ ისეთი ანალიზი დაუკავშირა, რომ მათემატიკური პროფილის სამ ინსტიტუტში მიიწვიეს მოხსენების წასაკითხად... რუსულად არის ამგვარი ორტომეული – „სამკურნალო საშუალებათა ცნობარი“ – სულ ზეპირად იცოდა იქ მოცემული ფორმულები.

ოქროს ხელი ოდენ ფიზიკურ ცდებში როდი ჰქონდა... ქიმიკოსიც ისეთი გახლდათ, ზოგ რამეში ქიმიკოსები ვერ ედრებოდნენ; 1975-ში რომ შევუღლდით – თენგიზისათვის ეს მეორედ დაოჯახება იყო – ბაჯაღლო ოქროს ბეჭდები არ ჩანდა. – რა უნდა მაგას, მე გაგიკეთებო; გამოჩხრიკა დედისეული ძველი ოქროული, რაღაც მჟავები, ხსნარები და ისეთი ნარევი გააკეთა, ისეთი ზოდი, რომ გამოვიდა სუფთა, 99,99 სისუფთავის ოქრო, გადაირიენ იუველირები.

მეცნიერთა 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის, კლდესავით ახლოს რომ შენდებოდა, პრობლემა გახდა მალალი ამწეს დაყენება, ინჟინრები ვერ ბედავდნენ. თენგიზმა, მშენებლობის დასაჩქარებლად კოოპერატივის თავმჯდომარედ დამდგარმა, შესთავაზა ინჟინრებს – მე გამოგითვლით, ამწე როგორ დააყენოთო და კიდევაც წარუძღვა ამ საქმეს.

ახლა მუსიკას არ იკითხავთ? სამუსიკო ათწლედი ხუთებზე დაუმთავრებია ფორტეპიანოს განხრით (თუმცა სკოლაში ამ მიზეზით ვერ აშაყირებდნენ, „ბიჭურად“ ყოჩად ითვლებოდა...ძ, შესანიშნავად უკრავდა ბახის ფუგებს, ბეთჰოვენის, შუბერტის სონატებს. „ბერნშტეინი“ გვაქვს, როიალი, თულაშვილის ნაქონი, რომელზეც თვით რახმანინოვს დაუკრავს თბილისში, ტემბრი ძალიან მოსწონებია. თენგიზი თვითონ აწყობდა, საკორექციო ინსტრუმენტები ჰქონდა.

შვილებზეც ვიტყვი. პირველი ქორწინებიდან ორი ვაჟი დარჩა, ოთხი შვილიშვილი. გია გეოლოგია, მოსკოვში ცხოვრობს; დიტო, ინჟინერია, თბილისშია. მე და თენგიზს ორი გოგონა შეგვეძინა, ნატო და ეკა. ნატო ახლა გერმანიაში, ბრაუნშვაიგის ერთ-ერთ კლინიკაში წამყვანი ქირურგი-გინეკოლოგია, დიდად ავტორიტეტიანი. ეკა ეკონომისტია, თავის საქმეში ასევე წარმატებული და ავტორიტეტული, სამი შვილის დედა გახლავთ... თენგიზი იყო არაჩვეულებრივად მზრუნველი მამა, პატარაობაში გოგონების მიმხედავი და მომვლელი, ჩემზე არანაკლებად. ბავშვები „დედა მინდას“ კი არა, „მამა მინდაო“, ასე ტიროდნენ... ნატო „საფიზიკე“ ხელსაწყოებით დაზურგული ჩამოდიოდა გერმანიიდან, არ იზარებდა სიმძიმეების თრევას...

ერთობ სამართლიანიც იყო თენგიზი; თუ ეგონა, რომ რაიმე საკითხში მართალია, არ ერიდებოდა ამხანაგების აზრის წინააღმდეგ წასვლას. ამას წინათ ეროვნული აკადემიის განყოფილების სხდომაზე მხურვალედ დაიცვა ბიძინა ივანიშვილი და მთელმა განყოფილებამაც დაუჭირა მხარი. აქტიურ მებრძოლად გამოჩნდა განათლების, მეცნიერების, უმაღლეს სასწავლებლებში რეფორმების გატარების სფეროებშიც. „ბედნიერი ცხოვრებით ვიცხოვრე და სიკვდილის არ მეშინიაო“ – ასე „შეაჯამა“ განვლილი გზა აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე...

...გულითადი და შთამბეჭდავი მონათხრობისათვის მადლობას ვუხდი ქალბატონ აველინას და სიმხნევეს ვუსურვებ ამნაირი თანაუღლელის დამკარგავს. აქ ბედნიერად ნაცხოვრების მაღალი სული იქაც ბედნიერად და ნათელში ამყოფოს...

**თამაზ ეზანოიძე.**

**P. S. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან დაყენებულია საკითხი, რომ აკადემიკოს თენგიზ სანაძის დაარსებულ კვანტური რადიოფიზიკის ლაბორატორიას იმისი სახელობა შეერქვას. იმედია, თენგიზის თანამშრომლებისა და კოლეგების ამ მხურვალე მოწადინებას ხორცი შეესხმება...**

**თ. ე.**

**სიცოცხლის უფლება**

# „გირგვლიანის საქმე წინასაარჩევნოდ სერიოზული დარტყმა იქნება მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის“

(მესამე გვერდიდან) სწორედ შს სამინისტროს ოფიცრებმა მოკლეს ლონლაძე, როგორც გირგვლიანის საქმეზე, ლონლაძის საქმეზეც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იქნა კონვენციის მეორე მუხლი – სიცოცხლის უფლება, მის პროცედურულ ნაწილში და როგორც გირგვლიანის საქმეზე არ უნდა საქართველოს მთავრობას ხელახალი გამოძიებისა და სასამართლო განხილვების დაწყება, ისე უკრაინის მთავრობა არიდებდა თავს ამას.

როდესაც ლონლაძის ადვოკატებმა მიმართეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია ამ საქმის აღსრულებასთან დაკავშირებით და მიუთითა უკრაინის მთავრობას, რომ პროცედურულ ნაწილში კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა აუცილებლად საჭიროებს ხელახალი გამოძიების და შესაბამისი სასამართლო განხილვების ჩატარებას. ამისი უზრუნველყოფა კი უნდა მომხდარიყო გონივრულ ვადებში, გამოძიება უნდა ყოფილიყო ეფექტური, გამჭვირვალე და უზრუნველყოფილი დაზარალებული მხარისა და მისი ადვოკატების ჩართულობა ამ გამოძიებაში.

ჩვენ იმ იმედით მივმართეთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომ ამ საქმეებს ერთნაირი სტანდარტით მიუდგებოდა.

**– როდის მიმართეთ ევროპის მინისტრთა კომიტეტს და გამოძიების რა ვადებში დაწყებაზეა ლაპარაკი?**

– მინისტრთა კომიტეტი იკრიბება წელიწადში ორჯერ. ნოემბრის სესიაზე განიხილეს ეს საკითხი და ჩვენთვის ცნობილია შემდეგი სახის გადაწყვეტილება, რომ ამ საქმეზე ზედამხედველობის განხორციელებას მიენიჭა არასტანდარტული რეჟიმი, რაც გულისხმობს, ჩვეულებრივზე მეტად გაძლიერებულ ზედამხედველობას.

ასევე მიეცა საქართველოს მთავრობას ვადა 2012 წლის 26 იანვრამდე რათა წარუდგინოს კომიტეტს ხედვა, თუ როგორ მოიაზრებს ამ საქმის სრულფასოვან აღსრულებას. ეს გადაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტმა მას შემდეგ გამოიტანა, რაც თანხა – 50 ათასი ევროს ოდენობით უკვე გადახდილი იყო. ანუ მინისტრთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ ეს საკმარისი არ იყო საქმის აღსრულებისათვის. ამის შემდეგ რა მოხდა, რა მოიმოქმედა საქართველოს მთავრობამ და როგორ ფიქრობენ ამ საქმის აღსრულებას, ჩემთვის უცნობია.

**– ქალბატონმა ბურჯალიანმა სამთავრობო საათზე განმარტა, რომ ამ სამოქმედო გეგმის დეტალებს ჯერჯერობით არ აკონკრეტებს რადგან დოკუმენტი მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან მუშაობა დასრულდება..**

– დიახ, მე მოვისმინე თინა ბურჯალიანის ეს განცხადება, თუმცა ეს წინააღმდეგობაში მოდის იმ განცხადებასთან, თითქოს გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია. 50 ათასი ევროს გადახდა რომ საკმარისი ყოფილიყო, მინისტრთა კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა და არც საქართველოს მთავრობასა და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის კომუნიკაციაზე იქნებოდა ლაპარაკი.

**– ლონლაძის საქმის პრეცედენტი რამდენად გვაძლევს იმედს, რომ საქართველოს მთავრობას აიძულებენ, სამართლიანი გამოძიება ჩაატაროს და თუ მაინც გაჭიანურდა გამოძიების დაწყება, შემდეგ უკვე რა ხდება პროცედურულად?**

– უკრაინის მთავრობას, რომელიც აჭიანურებდა გამოძიებას, პირდაპირ მიეთითა, რომ დაიწყოს გონივრულ ვადებში ეფექტური გამოძიება და უზრუნველყოფილი იყოს მისი გამჭვირვალობა. თუ მითითება იქნება მინისტრთა საბჭოს მიერ, რომ დაიწყოს საქმის გამოძიება და საქართველოს მთავრობა მაინც გააჭიანურებს, ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ მივმართოთ ევროპის სასამართლოს.

მივმართავთ მინისტრთა კომიტეტსაც, რომ არ ხდება აღსრულება და მინისტრთა კომიტეტი უკვე გამოიყენებს იმ სანქციებს, რაც არის დადგენილი ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის, რომლებიც უარს ამბობენ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

საკმაოდ მკაცრია ასეთ შემთხვევებში მინისტრთა კომიტეტი, იმდენად მკაცრი, რომ შესაძლოა, ამა თუ იმ ქვეყნის ევროპის საბჭოდან გარიცხვის საკითხიც კი დადგეს დღის წესრიგში.

**– თქვენ თქვით, რომ საქართველოს მთავრობა ამ საქმეს ალბათ არჩევნების შემდეგ დაუბრუნდება, რატომ არჩევნების შემდეგ და არა მანამდე, ამ საქმის გამოძიებას შეუძლია პოლიტიკური ქულების მოტანა, რაც არჩევნებისთვის ნაციონალურ მოძრაობას წაადგებოდა...**

– ხელისუფლებას არაფრად არ უღირს ის ქულები, რომელიც შეიძლება ჩაიწეროს, იმ საშიშროებასთან შედარებით, რომელიც ელის ხელახალი გამოძიებით. იმიტომ, რომ ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ როდესაც დაიწყება გამოძიება, დადგება შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვნად ფიგურირებს შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეუღლეც, ქალბატონი თაკო სალაყაია-მერაბიშვილი.

ეს იქნება საკმაოდ სერიოზული დარტყმა წინასაარჩევნოდ მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის. სწორედ ამიტომ ცდილობს ხელისუფლება, გამოიყენოს ყველა რესურსი და როგორმე მოახერხოს და ამ საქმეზე ხელახალი გამოძიების დაწყება გადაავადოს შემოდგომის საპარლამენტო არჩევნებს. ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ, რომ ადრე თუ გვიან, ამ საქმეზე გამოძიება ჩატარდება და ყველას მიეზღვება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სასჯელი. უზრალოდ, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი მოხდეს არჩევნების შემდეგ.

**ლალი ზირაქიშვილი**

**მშვიდი, დარბაისელი, კახური სიდინჯით გამორჩეული, სულგრძელი დევკაცი, მხიარული და ზნეკეთილი პიროვნება, ჭეშმარიტი რაინდი — ასე იხსენიებენ გამოჩენილ ქართველ სპორტსმენს, ბეჭდაუდებელ ფალავანს არსენ მეკოკიშვილს. ამ დღეებში მას 100 წელიწადი შეუსრულდებოდა... დღეს გთავაზობთ წერილს, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ამ ლეგენდარულ ქართველს.**



# დიდი ფალავანი

საგარეჯოს ცენტრში, სტადიონისა და სპორტდარბაზის წინ, ბუმბერაზი ძეგლი დგას. კვარცხლბეკზე წარწერაა: არსენ მეკოკიშვილი, 1912-1972. სპორტდარბაზიც არსენის სახელობისაა, რომელიც ხშირად მასპინძლობს მეკოკიშვილის სახელობის და სხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებს.

ხანდაზმული გარეჯელები სიყვარულით იხსენიებენ არსენ მეკოკიშვილს, ამაყები არიან ისინი, ვისაც, რაიმე ურთიერთობა ჰქონია გიორგიწმინდელ გოლიათთან.

დიდი მზადებაა საგარეჯოში, გარეკახელები არსენას საუკუნოვანი იუბილისთვის ემზადებიან.

კუნთმაგარი არსენა პირველად საგარეჯოს ბაზართან ძქძვით შემოღობილ საჭიდაო წრეში ეზიარა ქართული ჭიდაობის მადლს და იმთავითვე დაიგდო ბეჭდაუდებელი ფალავნის სახელი.

მეორე მსოფლიო ომამდე მრავალგზის გახდა საქართველოს ფალავანი (აბსოლუტური ჩემპიონი) ქართულ ჭიდაობაში.

მერე იყო წარმატებები ბერძნულ-რომაულში, სამბოში და თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვიდმეტჯერ გახდა სსრკ-ს ჩემპიონი. ასეთი წარმატებისათვის არც ერთ ქართველ ფალავანს არ მიუღწევია. სსრკ ჩემპიონობა მაშინ ბევრად არ ჩამოუვარდებოდა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებს.

თავმდაბალი სპორტსმენი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, რიგით საუწყებო პაექრობებსაც არ აკლდებოდა.

**მაგალითს დიდი ძალა აქვსო, — ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, გარეჯელი ლევან თედიაშვილი ხშირად ამბობს: რომ არ ყოფილიყო არსენა ძია, შეიძლება მეც ვერ გავმხდარიყავი ჩემპიონი!**

ერთ-ერთ ინტერვიუში კი ლევანი ასე აღწერს არსენასთან პირველ შეხვედრას: 11-12 წლის ბალღი ვიყავი, ვარჯიშიდან ვბრუნდებოდი და არსენ მეკოკიშვილმა დამიძახა, მოდი აქ, შვილო, წამო ჩემთან!.. ძალიან კარგი კაცი იყო, დინჯი, ალალმართალი, გოგლა ლეონიძესთან ძმაკაცობდა, ორივესთან ერთად ხშირად ვმჯდარვარ სუფრასთან, მაგათ ერთად ნახვას არაფერი ჯობდა. არსენას ძალიან უყვარდა გოგლას ლექსების მოსმენა: კიდევ თქვი თორემა, ჩარექიან ყანწს დაგალევინებო!.. მოკლედ, რომ დამიძახა, მანქანაში ჩამსვა, თბილისში ნამყოფი არ ვიყავი, დღეს კი ვიცი, სადაც მიმიყვანა, მაშინდელ ჩიტაძის ქუჩაზე... პირველად ვუყურებდი ქალაქსა. არც მჟავანაძე ვიცოდი ვინ იყო... თურმე ქვეყნის პირველ კაცთან მიმიყვანა, თავზე ხელი გადამისვა და უთხრა: ეს ბალღი ჩემი შემცვლელიაო. გულში ჩემთვის ვფიქრობ, — უყურე არსენა ძიას, რა ტყუილები ცოდნია-მეთქი?

გავიდა დრო. პირველად რომ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი (1971 წ.), ეგრევე არსენასთან მიველი, ფეხი ჰქონდა ნატკენი, იწვა, მე კი დოლ-გარმონით ვეახელი... არსენა ძია, ჩემზე კარგს ამბობდი, ტყუილი მეგონა, და აჰა ჩემპიონი გავხდი!.. წამოდგა, ჩამეხუტა და ატირდა, **დააბრუნე ხომ, შვილო, საგარეჯოში ოქროს მედალიო!..**



ჰელსინკი,
1952 წ. XV ოლიმპიადის ფინალური შეხვედრა.
გამარჯვებული არსენ მეკოკიშვილი.

ჩემს პირველ მწვრთნელთან ვალიკო მეკოკიშვილთან მიველი სექციაში, იმ დღიდან დავიწყე „არსენ მეკოკიშვილობაზე ფიქრი. **მისაბაძი კაცი იყო, ეგეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან“,** — დასძენს ლევან თედიაშვილი.

* * *

დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა მოჭიდავე, რომელსაც შეეძლო ფეხი გამოეკრა არსენასთვის და ის თუნდაც წაეჩოქებინა. გიორგიწმინდელი გოლიათი მუხასავით იდგა ხალიჩაზე და ხშირ შემთხვევაში შერკინებებს წმინდად იგებდა, არსენას მარწუხებიდან გაქცევა ხომ თითქმის შეუძლებელი იყო. 1952 წელს პირველად გავიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები ოლიმპიურ სარბიელზე, თორემ, ვინ იცის, მანამდე რამდენჯერ იზეიმებდა გამარჯვებებს ლეგენდარული არსენი.

40 წელს გადაცილებული იყო, როცა, 1952 წელს, ჰელსინკში, მე-15 ოლიმპიურ თამაშების ფინალურ შეხვედრაში მასზე 10 წლით უმცროსს, „ჩრდილოეთის გიგანტს“ შვედ ბერტილ ანტონსონს შეეჭიდა. მანამდე ის იყო მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობის ორ სახეობაში — ბერძნულ-რომაულში და თავისუფალში, აგრეთვე, იყო ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. ვეტერანი მეკოკიშვილი კი პირველად გამოდიოდა ასეთ დიდ ასპარეზზე. ოლიმპიადაზე მას „ორმოცი წლის დებიუტანტი“ უწოდეს.

არსენა მაშინ 120 კგ-ს იწონიდა, ფინალური შერკინების დროს მან ქართული ცერულით ძირს დასცა ქერათმიანი შვედი ჰერკულესი. მეორე სარმაც შედეგიანი აღმოჩნდა, ბევრს ეცადა ანტონსონი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „40 წლის ოლიმპიური დებიუტანტი“ ჭიდაობაში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში, თანაც, ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონით კატეგორიაში.

მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ასევე პირველად გამოვიდნენ ქართველი ფალავნები 1954 წელს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში და 2 ოქრო მოიპოვეს. ესენი იყვნენ „ჭიდაობის პროფესორი“ ვახტანგ ბალავაძე და ოლიმპიური ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი. 1954 წელსაც შეეცადა გამოჩენილი შვედი ბერტილ ანტონსონი, ჭაღარათმიანი ქართველი გოლიათის დამარცხებას, მაგრამ ხალიჩაზე კლდესავით მდგარმა არსენ მეკოკიშვილმა წყნარი ოკეანის ტალღასავით გადაუარა ანტონსონსაც და სხვა მრისხანე მეტოქეებსაც და... 42 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონობა გაინაღდა.

1956 წელს 44 წლისა იყო, მოსკოვში სსრკ ხალხთა პირველი სპარტაკიადა რომ მოიგო. ის ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე.

არსენ მეკოკიშვილი უდავოდ იყო მწვრთნელთა საბჭოს და ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით მელბურნის ოლიმპიადის მონაწილეთა პირველი ნომერი. ოლიმპიური გუნდი ყველა სახეობაში ემზადებოდა ოლიმპიადისთვის ქალაქ ტაშკენტში. ამ დროს იქ ჩასული იყო საკავშირო ცეკას წარმომადგენელი, რომელმაც წაიკითხა ლექცია სტალინის პიროვნების კულტის შესახებ. არსენ მეკოკიშვილმა ღიად გამოთქვა უკმაყოფილება სტალინის უსაგნო კრიტიკაზე. ამის შემდეგ გოლიათი ქართველი ამოიღეს მელბურნის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელთა სიიდან.

ეჭვგარეშეა, რომ ის მეორედაც გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი!

* * *

დიდი ხალიჩის შემდეგ არსენ მეკოკიშვილი გიორგიწმინდაში, საკუთარ კარმიდამოს დაუბრუნდა. მამაპაპური ვაზის მოვლა და მადლიანი კახური ღვინის დაყენება გააგრძელა.

დიდი ფალავნის არსენას ვაჟი, ყოფილი მოჭიდავე და მამის ღირსეული მემკვიდრე გოგი მეკოკიშვილი თავისი მამის სახელის უკვდავსაყოფად საგარეჯოში ტურნირებს მართავს. ვაზის და ღვინის მოვლის მამისეულ ტრადიციასაც არ ღალატობს.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ტრადიციული ქართული ოჯახები.

**გაბრიელ ბარჯაძე,**
ჭიდაობა სამბოს ფედერაციის
გენერალური მდივანი

SIC!

**ტყიბულში სხვისი აშენებული და თავისად გასაღებული საავადმყოფოს გახსნაზე მის დასახვედრად მიყვანილ ხალხს სააკაშვილმა განუცხადა, რომ გლეხებს, რომელთაც ჰიბრიდული სიმინდით იზარალეს, სახელმწიფო კომპენსაციას მისცემს, რათა ექსპერიმენტი გააგრძელონ და მათ ოჯახებს შემოსავალი ჰქონდეთ. თუმცა ეს დაპირება, როგორც მრავალი სხვა, ხელისუფლების მორიგი ბლეფი აღმოჩნდა.**

ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის 1 კგ. თესლი გლეხებს 17 ლარად აყიდინეს, მაშინ, როდესაც ქართული 3 ლარი ღირს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინდაუხედაობის გამო ახალი ჯიშის სიმინდი საზღვარგარეთ ვერ გააქვთ, ფასი დაბალია. შიდა ბაზარზე ფასის მატების ნაცვლად საგრძნობია კლება. სამინისტროს სპეციალისტებს გაანგარიშების დროს არ გაუთვალისწინებიათ მოსალოდნელი და შენახვის საფასური უცვლელი დატოვეს, რადგანაც ამერიკული სიმინდის სახლის პირობებში შენახვა (ჩვენისგან განსხვავებით) შეუძლებელია, გლეხებს მისი დაბინავება სპეციალურ ქარხნებში, მაღალი ტარიფით მოუწიათ. სპეციალური საწყობები მთავრობამ მოაწყო. იქ კი 1 კგ სიმინდის შენახვის საფასური 8 თეთრით განისაზღვრა. ამასთან ყოველ მომდევნო თვეში შესანახი თანხა 1 კგ-ზე 1 თეთრით იზრდება. სოფლის მეურნეობის კორპორაციის წარმომადგენელმა დავით ლობჟანიძემ განაცხადა, რომ შენახვის საფასურს გლეხი გადაიხდიდა, ოღონდ მას შემდეგ, რაც სიმინდს გაყიდდა. მაგრამ აქაც მოატყუეს ფერმერები. მათი რაოდენობა 20 ათას კაცს აღწევს... საგანგაშო კი ის არის, აცხადებს სოფლის მეურნეობის ექსპერტი პაატა კოღუაშვილი, რომ ექსპერიმენტისათვის აღებული კრედიტის გამო გლეხებს ბანკებთან პრობლემები შეექმნათ.

# ჰიბრიდული სიმინდის თესლის შემოწმებაზე ქვეყნის ყველა ლაბორატორიამ უარი განაცხადა

სპეციალისტების განმარტებით ქვეყანაში სოფლის განვითარებისათვის აგროსაკრედიტო სისტემა არ არსებობს. ქართული ბანკები კი მგლური კანონებით მოქმედებენ. ისინი გლეხებს ვალში სახლის, მიწის ჩადებას აიძულებენ. გადაუხდელობის შემდეგ კი იწყება ჩადებულის გაყიდვა. მდგომარეობა იმ დონემდე დაიძაბა, რომ ბანკირებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიმართა, არ შეიძლება ხალხის სახლებიდან გამოყრაო.

როდესაც გლეხები ზარალის ანაზღაურების თაობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართავენ, საზოგადოების ურთიერთობის სამსახური მათ მუნიციპალიტეტებთან აგზავნის. ისინი კი — პირიქით.

სპეციალისტები სამინისტროს ამგვარ ქმედებას უპასუხისმგებლოს უწოდებენ. ვინაიდან სწორედ მან გაუწია ფერმერებს რეკომენდაცია და თესლი დაარიგა... აქედან გამომდინარე, შედეგებსა და პრობლემებზე პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არაფერს აკეთებს. ამის გამო ჰიბრიდულ სიმინდზე ატეხა აჟიოტაჟი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაზაფხულზე ისევ გეგმავს ამერიკული ჰიბრიდის შემოტანას. ამჯერად უკვე ორი სახეობისას. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მთავრობა ამჯერად მაინც მისცემს გლეხს უფლებას თავად აირჩიოს სასურველი და დაწუნებულს იძულებით აღარ შეასყიდინებს.

პროექტი ჩავარდა. მიუხედავად ამისა, მაღალჩინოსნები მაინც ჯიუტად განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ჰიბრიდული სიმინდი საქართველოს სოფელს ააღორძინებს. იმ დონემდე, რომ ჩვენ მალე სიმინდს ექსპორტზე გავიტანთ.

ვარდოსნების ოპტიმიზმს არ იზიარებენ ექსპერტები. მათი განმარტებით, სიმინდი არასოდეს ყოფილა ჩვენი საექსპორტო პროდუქცია. ის მხოლოდ ადგილზე მოიხმარებოდა. ამჟამად ასეა. მაგალითისათვის უკრაინა მოვჰყავდათ. ის — სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა ამ კულტურას 1 მლნ ჰა-ზე თესავს. ჩვენთან მისი მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ 150 ათას ჰა-ზე. მისი ექსპორტი შეუძლებელია.

პოლიტოლოგები არშემდგარ ექსპერიმენტს ხელისუფლების მზაკვრული გეგმის ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად მიიჩნევენ. „ნაციონალებს“ სურთ ქართული მიწების მასობრივად გაყიდვა. გაუჩნდათ შანსი პროცესის დაჩქარებისა. ექსპერიმენტის შედეგად გაკოტრებულ, გადახდისუუნარო გლეხებს კრედიტორი ბანკები მიწებს უყიდიან. მყიდველები, ცხადია შეძლებელი უცხოელები იქნებიან. სპეციალისტებს ხელისუფლებისგან ქართველი გლეხების აბუჩად აგდებად მიაჩნიათ სოფლად დარიგებული 30-ლარიანი ვაუჩერი.

ჰიბრიდის პროგრამა თავიდანვე განწირული იყო. ეს ხელისფლებისაგან მოდიოდა. მთავრობის ზეწოლის შედეგად ქვეყნის არც ერთმა ლაბორატორიამ არ მიიღო სიმინდის თესლი შესამოწმებლად. თესლი გაფუჭებული იყოო, ასკვნიან ექსპერტები.

**ზაზა ბილიხოძე**

### რას წერენ ჩვენზე

# უსაფრთხოება, ინტეგრაცია და კავკასია

ხშირად ამბობენ, რომ კავკასიის რეგიონის მთავარი პრობლემა უსაფრთხოებაა, ხოლო მისი „გაყინული და ცხელი კონფლიქტები“ რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი წინაღობაა.

პრობლემა, რაღა თქმა უნდა, ისაა, რომ მაშინ, როდესაც არსებობს ტერმინები რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოებაზე სალაპარაკოდ, ისტორია შემდეგზე მიანიშნებს – ქვეყნებისთვის ამ ცნების გააზრება საკუთარი უსაფრთხოების ბაზაზე უფრო აქტუალური და პროდუქტიულია. დღეს კავკასიის ქვეყნები თავის უსაფრთხოებაზე უფრო ასეთ კონტექსტში მსჯელობენ – „რამდენად უსაფრთხოდ ვგრძნობთ თავს ჩვენ?“ და ნაკლებად ფიქრობენ მთლიანად რეგიონის დაცულობაზე.

არადა, უსაფრთხოების დარგში რეგიონის ერთადერთი მიღწევა – ეს მყიფე სტაბილურობაა. ცხადი ის არის, რომ მშვიდობა კავკასიაში და მისი უსაფრთხოება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი – თითოეულმა სახელმწიფომ ნებისმიერი საფრთხე, რომელიც მეზობელს დაემუქრება, საკუთარ საფრთხედ უნდა აღიქვას და ის ისევე გააპროტესტოს, როგორც საკუთარი ინტერესების დაცვისას გააკეთებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გასულ კვირას თბილისში ვილტონ პარკის კონფერენციაზე („უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში“) იმსჯელეს და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ცოტაოდენი ნათელიც მოჰფინეს. დისკუსიები მრავალ თემაზე გაიმართა, მაგრამ საკვანძო საკითხებად რეგიონის გადაუწყვეტელი კონფლიქტები და ევროკავშირსა და ნატოში რეგიონის ინტეგრაცია იქცა.




ქართულ კონფლიქტებზე დისკუსიისას ექსპერტთა უმრავლესობა იმაზე შეთანხმდა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ამ კონფლიქტების გადაწყვეტა ძნელი იქნება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქართველებს, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმებისადმი ერთგულებით, შეუძლიათ მოიგონ აფხაზებისა და ოსების გული. ამ სიტუაციაში, საქართველო რუსეთის დამოკიდებულებას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტების მოგვარებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი დაიწყო და გრძელდება, კონკრეტული შედეგები ჯერ არ ჩანს. სიტუაციას ყველაზე უკეთ აღვწერდით, თუ ვიტყოდით, რომ ეს „მართვადი ჩიხია“ და არა კონფლიქტის ჭეშმარიტი მოგვარება. ქართულ მთავრობას ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად ერთი შანსი აქვს – ეს არის „თანამშრომლობის მეშვეობით ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთქმედების სახელმწიფო სტრატეგია“ და ამ სტრატეგიას მთლიანად უჭერს მხარს დასავლეთი. საქართველოს პოზიცია პოზიტიურია და დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ შეძლებს კი დე ფაქტო ხელისუფლება და მოსახლეობა ამ წინადადების მიღებას? მართლაც, მხოლოდ ის, რომ ამ ტერიტორიებს ოკუპირებულად მოიხსენიებენ, შეიძლება, აღშფოთების და წყენის საბაბი გახდეს, რადგან ეს სახელდება თითქოს ფარულად უარყოფს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივ მოსახლეობასაც ეთქმის სიტყვა იმაზე, თუ ვინ და როგორ უნდა მართავდეს ამ რეგიონებს.

სწორედ ამიტომ, ამ კონფერენციის ზოგიერთი წევრის მტკიცებით, სტრატეგია რთული გასახორციელებელია, რადგან მოსახლეობაში კონფლიქტის განსხვავებული აღქმა არსებობს. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, ევროკავშირში ინტეგრაცია რაღაცნაირად უკავშირდება კონფლიქტების მოგვარების პრობლემას და არა მხოლოდ ექსპერტების, არამედ რიგითი მოქალაქეების აზრითაც. მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრის მიერ 2009 წელს მოწყობილ კვლევაში, რომელმაც შეისწავლა ინფორმირებულობა და განწყობები ევროკავშირისადმი, გამოიკვეთა ორი ყველაზე დიდი პრობლემა ქართველებისთვის – ტერიტორიული მთლიანობა და სამუშაო ადგილები. 2011 წლისათვის, კონფლიქტების გადაწყვეტის ხუთწლიანი ამაო მცდელობების შემდეგ, როგორც ჩანს, ხალხმა იმედი დაკარგა – მხოლოდ 42 პროცენტი მიიჩნევდა ტერიტორიული მთლიანობის საკითხს ეროვნულ პრიორიტეტად. ორივე წლის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა – მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტს მიაჩნია, რომ კონფლიქტები ევროკავშირში ინტეგრაციისთვის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. კიდევ ერთი არგუმენტი ასე ჟღერდა – სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგია. ამ ომამდე ევროკავშირის ოპერირება ადგილზე გამორიცხული იყო. საჭირო გახდა ომი, რომ ევროკავშირს აქ სამეთვალყურეო მისია გამოეგზავნა.

რეგიონის კიდევ ერთი, სომხურ-აზერბაიჯანული (მთიანი ყარაბახისძ კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ წარმართული დებატების მთავარი საყრდენი ასეთი ჩანდა – „ვერაფერი შეთანხმდება მანამდე, სანამ ყველაფერი არ შეთანხმდება“. ყველაზე საინტერესო მომენტი მთიანი ყარაბახის კონფლიქტის განხილვისას იყო სომეხი ჩინოვნიკების განცხადებები კონფლიქტის მოგვარების საკითხში მათი კონსტრუქციული როლის შესახებ და ის, რომ ისინი მუდმივად მეორე მხარეს ადანაშაულებენ. ამაზე აზერბაიჯანელმა გამომსვლელმა სწორად აღნიშნა – „მათ სჭირდებათ აგრესორის დასახელება, ანუ ის, თუ ვინ იმყოფება ვის ტერიტორიაზე“. აზერბაიჯანელ ექსპერტებსა და ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფის არსებობის მიზანი უფრო კონფლიქტის გაჭიანურებაა, ვიდრე მისი გადაწყვეტა. ამ მოსაზრების დადასტურებად გაიჟღერა ერთი სომეხი ექსპერტის რეპლიკამ – „მინსკის ჯგუფი უფრო მინსკია, ვიდრე ჯგუფი“. კიდევ ერთმა აზერბაიჯანელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ მინსკის პროცესის დელეგირება კრემლისთვის მოხდა და შესაბამისად, ამ ფაქტმა კარი გაუღო კრემლის აღორძინებას რეგიონში, ხოლო დასავლეთი აქ ვერ, ან არ აღადგენს საერთაშორისო სამართალს.

სომხეთის წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ ძალადობის რეციდივებზე „კონფლიქტის ხაზზე“, ხოლო აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან კონტაქტისთვის გამყოფი ხაზების გარეშე. შეშფოთების მთავარი მიზეზი ექსპერტთა უმრავლესობისათვის ის იყო, რომ დღესაც კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივა ისეთივე შორეულია, როგორც ათწლეულობის წინ, ხოლო მათი განახლების რისკმა, როგორც ჩანს, ძალიან იმატა. ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებდა, რომ თუ დაპირისპირება გაგრძელდა, პროცესი შეიძლება დაჩქარდეს და რეგიონს მოიცავს „ხანმოკლე, ეპიზოდური ომი“, რომელიც დაანგრევს მოლაპარაკების მექანიზმს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დადგა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულების მივიწყებული საკითხი იყო. შარშან ბრუკინგის ინსტიტუტმა და ლონდონის ეკონომიკის სკოლამ ერთობლივი ანგარიში მოამზადეს – „იძულებით გადაადგილებულთა პროექტი“. ამ ანგარიშში ამტკიცებდნენ, რომ 20 წლის განმავლობაში იძულებით გადაადგილებულის სტატუსში ყოფნამ ბევრს შეურყია იმის რწმენა, რომ ისინი მალე დაბრუნდებიან, მაგრამ ამავე დროს იმატა სამხედრო რიტორიკამ. „განა შესაძლებელია 20 წლის განმავლობაში იძულებით გადაადგილებული იყო?“ ამ კითხვას სვამდნენ კიდევ და კიდევ ბაქოშიც და მოშორებულ სოფლებშიც იძულებით გადაადგილებულები. სამწუხაროდ, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებულნი ძირითადად ყველას მიავიწყდა და დაპირისპირების ორივე მხარეს ახალი თაობა იზრდება ისე, რომ აღარ ახსოვთ საკუთარი ფესვები, ხოლო ზიზღი და აღშფოთება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ მატულობს.

საბოლოოდ კი, უსაფრთხოების უკეთესი პირობები და დასავლეთთან ინტეგრაცია ძირითადად ქაღალდზე რჩება. მიუხედავად რეგიონის უსაფრთხოებასათან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებისა და რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა „გადატვირთვისა“, და მიუხედავად იმისაც, რომ რეგიონის ქვეყნები ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ მიილტვიან, მოსკოვში, ვაშინგტონსა და ბრიუსელში კავკასიაში უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის დიდი მონდომება არ ჩანს. რუსული ანდაზა ამბობს: „მნოგო შუმა იზ ნიჩეგო“, რაც ასე ითარგმნება „ბევრი გარჯა არაფრის გამო“. მშობლიურ ენაზე ანდაზა უკეთ ჟღერს, მაგრამ მისი აქტუალობა ენობრივ ბარიერებს სცდება.

TODAYS ZAMAN

# დედამიწის ზურგზე

## ოპოზიციის „ტრიუმფი“ მიანმაში: ხელისუფლება დასავლეთიდან საპასუხო სვლებს ელოდება



თუ დასავლეთი არ დაუთმობს ბირმელ გენერლებს, მათ შეუძლიათ კვლავ დაუბრუნდნენ მკაცრ კონფრონტაციას ოპოზიციონერებთან. ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიჩნევენ, რომ ბირმის წინააღმდეგ (მიანმის სახელწოდება 1989 წლამდე) სანქციების გაუქმება ჯერ კიდევ ადრეა. ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბრუნებამდე ქვეყანა ჩინეთის პროტექტორად იქცევა.

## მიტ რომნი „სისულელის“ დღეს გაათამაშეს საკუთარმა თანაშემწეებმა



მილუოკში წინასაარჩევნო კამპანიის დროს მასაჩუსეტსის შტატის ექსგუბერნატორის თანაშემწეებმა მასზე იხუმრეს, როდესაც იმ ოთახის ნაცვლად, სადაც იყვნენ ამომრჩევლები, შეიყვანეს ცარიელ აუდიტორიაში და ჩართეს „მქუხარე“ ტაშის ფონოგრამა. ბლოგერებმა კი პირველ აპრილს რომნი სრულიად „ამოიღეს“ საპრეზიდენტო რბოლიდან.

## ომი ნავთობისთვის ლიბიაში – ერთ კვირაში დაიღუპა თითქმის 150 კაცი



შეიარაღებული ბრძოლები თითქმის ყოველდღე ხდება ძირითად მოსახლეობას (არაბებს) და ეროვნულ უმცირესობებს – შავკანიანებსა და ტუარეგებს შორის. ამ უკანასკნელებს ეშინიათ, რომ ლიბიის ახალი ხელისუფლება ჩამოართმევს მათ „ნავთობის რენტებს“. თუ კონფლიქტს არ შეაჩერებენ, ლიბიას ემუქრება გათიშულობა და ახალი სამოქალაქო ომი. ხელისუფლება აცხადებს ზავის შესახებ.

## ბრიუსელში პაციფისტებმა ნატოს შტაბ-ბინას შეუტიეს, დააკავეს თითქმის 500 აქტივისტი




აქციაში „ნატო, თამაში დამთავრდა“ მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით 500 აქტივისტი ევროპის 11 ქვეყნიდან. უშუალოდ მცდელობაში – გადამძვრალიყვნენ ღობეზე, რომელიც ნატოს შტაბბინას აკრავს, მონაწილეობას ღებულობდა 500 პაციფისტი. შტურმის მონაწილეები აპირებდნენ ჩამოეკიდათ ბოქლომები ნატოს მთავარი ოფისის კარებზე.

## „სირიის მეგობრების“ კონფერენციის შემდეგ ასადის რეჟიმმა „დაკარგა კანონიერება“, მიაჩნია ლიდერს



როდესაც ფორუმის შედეგებს აჯამებდა, ბუხან გილიუნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიის სახალხო კრების აღიარება „ყველა სირიელის კანონიერ წარმომადგენლად“ და „მთავარ პარტნიორად“ მოლაპარაკების პროცესში ნიშნავს, რომ „ასადის მმართველობას ბოლო ეღება“. ახლა საერთაშორისო გაერთიანების წინაშე დგას ამოცანა – „დაეხმაროს სირიელ ხალხს, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდეს მისგან“.

## გარდაიცვალა მექსიკის ყოფილი პრეზიდენტი მიგელ დე ლა მადრიდი



ის სახელმწიფოს სათავეში ედგა 1982-დან 1988 წლამდე. განახორციელა ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები გაჩაღებული მძიმე კრიზისის საპასუხოდ. ამავე დროს მის ადმინისტრაციას აკრიტიკებდნენ აუჩქარებლობის გამო იმ ძლიერი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში, რომელიც მეხიკოში 1985 წელს მოხდა.

# პანორამა



◎ გამოვლინდა ქართველი მონაწილე

## ლიზი რამიშვილი ევროვიზიის მე-16 მუსიკალურ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას

**როგორც ცნობილია, 1982 წლიდან დაწყებული ევროვიზია ორ წელიწადში ერთხელ ატარებს მუსიკალურ კონკურსს, რომელშიც მონაწილეობენ კლასიკური მუსიკის 20 წლამდე ახალგაზრდა შემსრულებლები.**

**წელს კონკურსი (რიცხვით მე-16) ტარდება ვენაში (ავსტრია) და მასში პირველად იღებს მონაწილეობას საქართველო, რომლისთვისაც გამოყოფილია ერთი ადგილი.**

ღირსეული კანდიდატურის გამოსავლენად თბილისში გასულ თვეში ჩატარდა სამი ტური, რომელთა შედეგად შეირჩა ექვსი ახალგაზრდა მუსიკოსი.

12 მარტს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტით გათვალისწინებული მუსიკალური საღამო, რომელსაც უნდა გამოევლინა კონკურსის ერთადერთი ქართველი მონაწილე.

საღამოს უძღვებოდა ცნობილი მუსიკოსი ვახტანგ კახიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას კონკურსის მონაწილეები წარუდგინა და სიმფონიურ აკომპანიმენტს უწევდა მათ.

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია. ჟიურის წევრები: ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რევაზ კიკნაძე, პროფესორები: მანანა დოიჯაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი და საზოგადოებრივი მაუწყებლის მუსიკალური მიმართულების პროდიუსერი მამუკა მეგრელიშვილი.

მსმენელის წინაშე პირველ ნომრად წარდგა ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე ანა ყიფიანი (პედაგოგი ნინო ჭირაქაძე), რომელმაც შეასრულა სენ-სანსის გ-მოლლ საფორტეპიანო კონცერტის III ნაწილი. ანა მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, უცხოეთში გამართული აქვს კონცერტები.

ხელოვნების მე-2 სკოლის მოსწავლემ ნათია ნატროშვილმა (პედაგოგი ლაურა იაშვილი) შეასრულა ბეთჰოვენის №3 საფორტეპიანო კონცერტის III ნაწილი. ნათია მოცარტის 244 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის ლაურეატია.

კონსერვატორიის სტუდენტმა თამარ მოდელაშვილმა (ასოცირებული პროფესორის ალექსანდრე გარბერის კლასი) შეასრულა რახმანინოვის №2 საფორტეპიანო კონცერტის I ნაწილი. თამარი არის 2010 წელს ფრანკფურტში გამართული რახმანინოვის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და სომხეთში ჩატარებული კონკურსის ლაურეატი. 2011 წლის ნოემბერში მან სოლო კონცერტი ჩაატარა ვენაში.



ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლემ ლიზი რამიშვილმა (პროფესორ თამარ გაბარაშვილის კლასი) შეასრულა ლალოს №1 კონცერტი ჩელოს და ორკესტრისათვის (I ნაწილი). ლიზი თბილისში გამართული IV რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატია, სომხეთში გამართულ კონკურსზე გრანპრის მფლობელი და 2010 წელს მოსკოვში გამართული კონკურსის „ოქროს მაკნატუნას" გამარჯვებული.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლემ სენდი ვართანოვამ (პედაგოგი ვიქტორია ოსკანოვა), შეასრულა ბრუხის №1 სავიოლინო კონცერტის II ნაწილი. მისთვის ეს გახლდათ პირველი კონკურსი.

კონკურსი დააგვირგვინა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის №2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ ინალი ჯიოევმა (პედაგოგი იური ჯიოევი), რომელმაც შეასრულა ჰაიდნის ჩ-დურ კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისათვის (III ნაწილი).

კონკურსის ექვსივე მონაწილე ღირსეულად წარსდგა მსმენელისა და ჟიურის წინაშე და ნამდვილად დაამახსოვრა თავი ქართველ მსმენელს.

დამსწრეთ განსაკუთრებით მოეწონათ ლიზი რამიშვილის გამოსვლა. ჟიურის გადაწყვეტილებით იგი დამსახურებულად იქნა გამოცხადებული შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულად.

ვუსურვოთ მას გამარჯვება ვენის საერთაშორისო კონკურსზეც.

საშუალება მომეცა გავსაუბრებოდი ლიზის პედაგოგს პროფესორ თამარ გაბარაშვილს:

„ლიზი 14 წლის არაჩვეულებრივი გოგონაა, ძალიან ნიჭიერი და მშრომელი. I კლასიდან ერთად მოვდივართ. ძალიან ჭკვიანი გოგონაა, რასაც ვეუბნევი, ყველაფერს აკეთებს და პროგრამასაც სწრაფად ითვისებს, ამიტომ დიდი რეპერტუარიც აქვს. იგი ორჯერ გახდა მ.როსტროპოვიჩის სტიპენდიატი. მოსკოვში დაუკრა ი.ბაშმეტის ორკესტრთან ერთად. ახლა უკრავს ჩემს ჩელოზე და მიხარია, რომ ეს უნიკალური საკრავი არ კვდება ასეთი შემსრულებლების წყალობით. დიდ იმედებს ვამყარებ მასზე და შევეცდებით ვასახელოთ საქართველო!"

**შორენა მეტრეველი,**

**ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის მიმართულების II კურსის სტუდენტი.**

◎ ვასწორებთ

### „ფიქრები სიმართლესა და სამართლიანობაზე"

**„საქართველოს რესპუბლიკის" წინა ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე შენგელიას სტატია „ფიქრები სიმართლესა და სამართლიანობაზე", რომლის ბოლოშიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო სპეციალური ლოგო და ტექსტი, რომელსაც აქ ვბეჭდავთ.**

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE
EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)
საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

**პროექტი — „დავეხმაროთ საზოგადოებას სიმართლის გაგებაში" — ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის — „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების" (G-PAC) ფარგლებში.**

**ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.**

**სტატია არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.**

◎ რეპლიკა

### ვინ არის ნავარო?



**დაუკვირდით ამ გვარს — „ნავარო". ასოციაციით გახსენდება კაცი, რომელიც აგვარებს, უფრო სწორად აკვარახჭინებს საქმეებს. სამწუხაროდ, ნავაროს კვლევა სამართლიან ეჭვს იწვევს. ბატონო ნავარო, აგვიხსენით, როგორ შეესატყვისება თქვენს მიერ წარმოდგენილი ივანიშვილის მხარდამჭერთა პროცენტი (10 პროცენტი) მისთვის მოქალაქეობის აღდგენის მეტად დიდ მაჩვენებელს (70 პროცენტი)? რომელია აქედან სწორი? საოცრად არაპროფესიულად „მოაკვარახჭინეთ" საქმეები!**

**სირცხვილია, რომ აშშ-ში ასეთი სოციოლოგიური სამსახური არსებობს.**

**ლონდა მდივანი**

◎ არჩევნები

## პრეზიდენტი მილიარდ დოლარად?

**სავსებით შესაძლებელია, რომ 2012 წელს ბარაკ ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი გახდეს, რომლის საარჩევნო ფონდი მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამ ვარაუდს გაზეთ „ვაშინგტონ თაიმსის" მიმომხილველი კარა როულენდი გამოთქვამს.**

**ობამას გუნდი კვლავაც წვრილ-წვრილ შემომწირველებს მიმართავს, რომელთა მეშვეობით მან 2008 წელს ასევე რეკორდულ თანხას — 745 მილიონ დოლარს მოუყარა თავი. „წარმატების გამეორება ნაწილობრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს პრეზიდენტი, გადაავიწყოს თავის თავგადაკლულ მომხრეებს საკუთარი შეუსრულებელი წინასაარჩევნო დაპირებები, მაგალითად, სამიგრაციო კანონმდებლობის რეფორმებისა და გუანტანამოზე ციხის დახურვის თაობაზე", — წერს კარა როულენდი.**

მოქმედი პრეზიდენტის რანგში ბარაკ ობამას მთელი რიგი უპირატესობა გააჩნია: ესაა ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული რესურსი და სახელმწიფო სახსრების ხელმისაწვდომობა. ამას ასევე 13 მილიონი მომხრე აქტივისტიც ემატება, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს.

ობამა ისტორიაში პირველი კანდიდატი გახდება, ვინც „მილიარდი დოლარი ელირება", — აცხადებს ენტონი ჯ. კორადო ქოლბის კოლეჯიდან. თუმცა, ფულის შეგროვება არც ისე ადვილი იქნება, როგორც ეს თვალის ერთი გადავლებით შეიძლება ვიფიქროთ. ხშირად ხდება, რომ ის პრეზიდენტები, ვინც კენჭს მეორე ვადით იყრიან, ადრინდელ მხარდამჭერთა თანადგომას და, შესაბამისად, სახსრებსაც კარგავენ.

Campiagn Finance institute (CFI) მონაცემებით 2008 წელს ობამას მიერ მას შემდეგ შეგროვილი ფულის 34 პროცენტი, რაც იგი დემოკრატიულ პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა, იმ თანხებმა შეადგინეს, რომელთა ოდენობა 200 დოლარს არ აღემატებოდა. „ამან იმ სახსრების კომპენსირება მოახდინა, რომლებიც ობამას ლობისტებისგან და „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტებისგან" ფულის აღებაზე აკრძალვით დააკლდა", — წერს „ვაშინგტონ თაიმსი".



ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რამდენი მცირედი თანხის შემომწირავი დაბრუნდება ობამას ბანაკში, მაგრამ CFI-ს აღმასრულებელი დირექტორის მაიკლ მალბინის აზრით, ობამას მხარს უფრო აქტიურად დაუჭერენ მსხვილი შემომწირველები, რომლებიც 2008 წელს მხარს ჰილარი კლინტონს უჭერდნენ.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტობის მეორე ვადით არჩევასთან დაკავშირებით საბუთებს ბარაკ ობამა უახლოეს დღეებში, შეიტანს. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ საპრეზიდენტო სრბოლისთვის სახსრების შეგროვებაზე ასევე ზემოქმედებას იქონიებს ფაქტორი, რომელზეც ბარაკ ობამას გავლენის მოხდენა არ შეუძლია: ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი. „იმის ალბათობა, რომ ობამა შეძლებს მილიარდ დოლარზე მეტის თავმოყრას, გაცილებით გაიზრდება, თუკი რესპუბლიკელები პრეზიდენტობის კანდიდატად ისეთ ფიგურას წამოაყენებენ, რომელიც დემოკრატებს შეაშინებს", — აღნიშნავს ლარი საბატო ვირჯინიის უნივერსიტეტიდან.

მიმომხილველები ასევე აღნიშნავენ, რომ 2010 წელს კონგრესის წევრთა კანდიდატების ფონდებში ინტერნეტით გაკეთებულ შემოწირულობათა რიცხვის ზრდამ, რომლებსაც მხარს უჭერდა მოძრაობა „ჩაის სმა", სავსებით იძლევა იმის ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ დემოკრატების მსგავსად წვრილ-წვრილ შემომწირველებთან მიღწეული წარმატების გამეორება რესპუბლიკელებსაც შეეძლებათ. კერძოდ, ჯორჯ ბუშ — უმცროსის ყოფილი პოლიტტექნოლოგის კარლ როუვის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია American Crossroads-ი 2012 წელს ობამასა და სხვა დემოკრატებთან საბრძოლველად 120 მილიონი დოლარის შეკრებას გეგმავს, თუმცა ფაქტია ისიც, რომ დემოკრატები მას თავიანთ სათანადო ორგანიზაციებს უპირისპირებენ.

დემოკრატებს თავიანთი მხარდაჭერის გეოგრაფიის გაფართოება სურთ, მაგრამ, ანალიტიკოსთა აზრით, ობამას გაუჭირდება ვირჯინიაში, ინდიანასა და ჩრდილოეთ კაროლინაში მხარდაჭერის შენარჩუნება, რომელიც მან წინა ჯერზე რესპუბლიკელებს „მოუგო". დიდი ყურადღებაა მიპყრობილი ოჰაიოსა და ფლორიდისკენ, სადაც დიდ დაბრკოლებად შეიძლება იქცეს ესპანურენოვანი მოსახლეობის იმედების გაცრუება. ემიგრანტთა უფლებების დამცველთა გულისწყრომას ის გარემოება იწვევს, რომ პრეზიდენტობის პერიოდში ობამას ამ პრობლემის გადასაჭრელად პოზიტიური ნაბიჯი არ გადაუდგამს. გაურკვეველია ასევე საიმიგრაციო რეფორმასთან დაკავშირებული საქმის ვითარება, რადგან ამ საკითხის დამუშავებაზე სერიოზულად არავინ მუშაობს. ობამას სხვა მომხრეთა ჭოჭმანის მიზეზი კი ისაა, რომ გუანტანამოს ციხე დღემდე არ არის დახურული. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ ობამამ სრულად შეასრულა ჰომოსექსუალისტთა უფლებათა დაცვის სფეროში მიცემული პირობები.

ამჟამად ბარაკ ობამას ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ ვის კანდიდატურას წამოაყენებენ რესპუბლიკელები, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ წინასაარჩევნო აგიტაციას იგი არ ჩქარობს. „არ ღირს ჩვეულებრივ კანდიდატად გადაქცევა — ამით პრეზიდენტის სტატუსის მაგია გაიფანტება", — ასე განმარტა სიტუაცია ლარი საბატომ, რასაც ბევრი სხვა მიმომხილველიც იზიარებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**წინ, საქართველო!**

# 17-წლამდელთა ჰეთ-თრიკი

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პირველად 1997 წელს გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მეორედ ეს უფლება ჩვენებმა 10 წლის წინათ მოიპოვეს. მაშინ დასკვნითი ტურნირები 16-გუნდიანი იყო, წლეულს 4-16 მაისს კი სლოვენიაში მხოლოდ რვა გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის.** საოცნებო ოქტეტში მოხვედრა, ცხადია, ყველა გუნდისთვის მეტად საპატიოა და რაოდენ საამაყოა, რომ რჩეულთა შორის ჩვენი ბიჭებიც იქნებიან.




არადა, ელიტრაუნდში წილისყრამ საქართველოს ნაკრებს მძიმე განსაცდელი მოუმზადა – ე. წ. „სიკვდილის ჯგუფში“ მიუჩინა ადგილი, სადაც ერთადერთი საგზურისთვის ესპანეთი, ინგლისი, უკრაინა და საქართველო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ევროპის საფეხბურთო გრანდების წარმომადგენლებთან ვასილ მაისურაძის შეგირდებს მხოლოდ ერთი უპირატესობა ჰქონდათ – საკუთარი კედლების ფაქტორი. თუმცა, როგორც პაექრობებმა გვიჩვენა, მინიტურნირში ეს არ ყოფილა გადამწყვეტი. შეჯიბრების სტარტზე ესპანელებთან ყველასთვის გასაკვირი ფრის (1:1) შემდეგ ქართველმა ჭაბუკებმა კიდევ უფრო გააოცეს საფეხბურთო სამყარო, როცა მეორე ტურში ინგლისელებს სძლიეს – 1:0.

შაბათს ტურნირის ბოლო და გადამწყვეტი მატჩი გაიმართა უკრაინის ნაკრებთან. ფინალური ეტაპის საგზურამდე ხელის გაწვდენაღა რჩებოდა და მასპინძლებმა ეს შანსი გამოიყენეს. მით უმეტეს, ქართველებს წინა ტურნირში მარცხისთვის რევანშიც უნდა აეღოთ. ამიტომაც მოგების წყურვილით გავიდნენ ისინი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. პირველი წუთებიდან საკმაოდ შეუტიეს მეტოქეს. მე-6 წუთზე მორიგი იერიში გოლითაც დასრულდა: ვასილ წილოსანმა სოლო რეიდი წამოიწყო – „სლალომით“ გასცდა რამდენიმე მოწინააღმდეგეს და საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, იქ კი წამიერად გაერკვა სიტუაციაში და ზუსტად მიაწოდა ბურთი მცველთაგან უმეთვალყუროდ დარჩენილ ალეკო მზევაშვილს. ამ უკანასკნელს კი სარნავსკის კარის აღება არ გასჭირვებია – 1:0. დარჩენილი 74 წუთის განმავლობაში (ჭაბუკთა მატჩები 80-80-წუთიანია) ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ბოლო მომენტში ან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ან მეკარეები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 68-ე წუთი, როცა დმიტრი ბილონოგიმ ზუსტად მოძებნა კარიდან ორიოდე მეტრში მდგარი არტურ მურანიანი, რომელმაც, ჩვენდა ბედად, ბურთი ხარიხას მოარტყა. არადა, ამ მანძილიდან ბურთის აცილება უფრო რთული იყო, ვიდრე მისი ბადეში შეგორება.

ასეა თუ ისე, საბოლოოდ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა (ადამია, კაკაბაძე, გურეშიძე, ჭანტურია, სამხარაძე, პაპუნაშვილი, წილოსანი (მესხიძ, ახვლედიანი (დარციმელიაძ, ცინცაძე (აზურჯანიაძ, ჯიქია, მზევაშვილი, მთავარი მწვრთნელი ვასილ მაისურაძეძ 1:0 გაიმარჯვა, მოაგროვა 7 ქულა და ფინალურ ეტაპზე მესამედ თამაშის უფლება მოიპოვა. სლოვენიაში ჩვენს ბიჭებს მასპინძლებთან ერთად ფრანგები, გერმანელები, ისლანდიელები, პოლონელები, უნგრელები, ბელგიელები და შარშანდელი ჩემპიონი ჰოლანდიელები დაუხვდებიან. წილისყრა 4 აპრილის გაიმართება განუთესავად და ცნობილი გახდება ქვეჯგუფებში 4, 7 და 10 მაისს ვინ ვის დაუპირისპირდება. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში (13 მაისიძ გავა. გადამწყვეტი მატჩი 16 მაისს გაიმართება.

რაც შეეხება ჩვენს ჯგუფში ესპანეთისა და ინგლისის ორთაბრძოლას, პირენეელებმა აშკარად დაჯაბნეს კუნძულელები – 4:0. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: საქართველო – 7, ესპანეთი – 5, ინგლისი – 3, უკრაინა – 1 ქულა.

**ვაჟა დანელია**

**წყალბურთი**

# უკვე – ექვსნი




**საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში შარშან ოთხი გუნდი მონაწილეობდა. წლეულს მათი რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა:** „ლიგამუსს“, „თბილისს“, „ივერიასა“ და „ზვიგენებს“ ბათუმი და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები შეემატნენ. პირველობაც უფრო საინტერესო გახდა. გაუწყებთ ორი ტურის შეხვედრათა შედეგებს: „ლიგამუსი “ – „ზვიგენები“ 17:2, ჭაბუკთა ნაკრები – „ბათუმი“ 22:5, „თბილისი“ – „ივერია“ 6:7, „ლიგამუსი“ – „ბათუმი“ 28:2, „ივერია“ – „ზვიგენები“ 17:9, ჭაბუკთა ნაკრები – „თბილისი“ 6:9. ექვს-ექვსი ქულით „ლიგამუსი“ და „ივერია“ დაწინაურდნენ. მე-3 ტურის შეხვედრები აპრილის ბოლო – მაისის დასაწყისისთვის გადაიდო. საქმე ის არის, რომ 6-8 აპრილს „ოლიმპიკი“ სახელოვანი წყალბურთელის, ოლიმპიური თამაშების მე-3 პრიზიორის – ნოდარ გვახარიას თასის მე-2 გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველებთან ერთად, ყაზახი, ბელარუსი და თურქი ჭაბუკები იასპარეზებენ. ეს იქნება ჩვენი ბიჭების ერთგვარი სამზადისი ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც გაისად გაიმართება. მსგავსი შეჯიბრება წლეულს 24-27 მაისს ელით 1993-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელებს, რომლებითაც დაკომპლექტებულია „ივერიის“ გუნდი. ქართველი ახალგაზრდები 15 აპრილიდან მთავარი მწვრთნელის – რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით სერბეთს გაემგზავრებიან ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. იქვე ტესტმატჩებსაც გამართავენ საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში ცვლილებები სწორედ ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობამ გამოიწვია.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**

# მწირი მონაგრით



**ბულგარულ პლოვდივში საქართველოს 9 წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-13 ჩემპიონატში. მათგან მხოლოდ ბაადურ ჯობავამ შეძლო 23 საუკეთესოში მოხვედრა და, შესაბამისად, მსოფლიოს თასის საგზურისა და 1200 ევროს მოპოვება.** არადა, ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 100.000 ევრო. 14 ათასი რუს დმიტრი იაკოვენკოს ერგო, რომელმაც ბოლო ტურში ფრანგ ლორენ ფრესინეს სძლია და 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 9 მოჭადრაკე 8-8 ქულას მოუყრის თავს. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილი და 11 ათასი ევრო ფრესინეს ხვდა, რუსი ვლადიმერ მალახოვი „ბრინჯაოს“ და 9 ათას ევროს დასჯერდა.

ქართველთაგან, როგორც ვთქვით, საუკეთესო იყო ბაადურ ჯობავა – 7,5 ქულით. დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: 48. მიხეილ მჭედლიშვილი (7 ქულაძ, 67. შოთა აზალაძე (6,5ძ, 101. ლუკა პაიჭაძე (6ძ, 103. ლევან ფანცულაია (6ძ, 155. დავით ლომსაძე (5,5ძ, 175. დავით ბენიძე (5,5ძ, 207. გაიოზ ნიგალაძე (5ძ, 339. გიორგი ხელაია (2,5 ქულაძ.

**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**

# ევროპის სტადიონებზე



**იტალია.** „კატანია“ – „მილანი“ 1:1, „იუვენტუსი“ – „ნაპოლი“ 3:0, „პარმა“ – „ლაციო“ 3:1, „ინტერი“ – „ჯენოა“ 5:4, „რომა“ – „ნოვარა“ 5:2.

**ესპანეთი.** „ოსასუნა“ – „რეალი“ 1:5, „ბარსელონა“ – „ბილბაო“ 2:0, „ვალენსია“ – „ლევანტე“ 1:1, ატლეტიკო“ – „ხეტაფე“ 3:0, „მალაგა“ – „ბეტისი“ 0:2.

**ინგლისი.** „სიტი“ – „სანდერლენდი“ 3:3, „ტოტენჰემი“ – „სუონსი“ 3:1, „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ 2:4, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ – „არსენალი“ 2:1, „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ 2:0.

**გერმანია.** „ნიურნბერგი““ – „ბაიერნი“ 0:1, „ბორუსია“ – „შტუტგარტი“ 4:4, „ჰოფენჰაიმი“ – „შალკე“ – 1:1, „ჰანოვერი“ – „გლადბახი“ 2:1, „ჰერტა“ – „ვოლფსბურგი“ 1:4 (მასპინძელთაგან გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანაძ.

**საფრანგეთი.** „ნანსი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1, „რენი“ – „ლიონი“ 1:1, „ლილი“ – „ტულუზა“ 2:1.

**ჰოლანდია.** „ვიტესი“ – „ალკმაარი“ 2:2 (სტუმრებს ერთი გოლი გურამ კაშიამ გაუტანაძ, „აიაქსი“ – „ჰერაკლესი“ 6:0, „ფეიერნოორდი“ – „ბრედა“ 3:1.

**კალათბურთი**

# გაზაფხული „რუსთავის“ ქუჩებშიც მოვიდა

**ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც სუპერლიგის მეორე წრის IX ტურში ბრძოლა გაჩაღდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსა და „რუსთავს“ შორის გაიმართა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი მატჩი ქულა-ქულაში წარიმართა და



სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – 78:74. ეს მიხეილ ბერუაშვილის შეგირდთა მიერ სეზონში მოგებული მეორე თამაშია.

უკვე გაუწყეთ, რომ ქვემოქართლელთა თავკაცმა წლეულს კურსი ადგილობრივ ახალგაზრდობაზე აიღო, რომელსაც ერთადერთი ლეგიონერი ჯოლივეტ ტუჯანი შეაშველა. ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად დებიუტანტიაო, არც ამ უკანასკნელზე ითქმის, რადგან იგი ახლო წარსულშიც წარმატებით იცავდა ყოფილი „აზოტის“ ღირსებას.

ასეა თუ ისე, ბოლოდროინდელი ათსპარეზობა ადასტურებს, რომ ასეთი სტრატეგიული გათვლა გამართლებულია. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ წინა ტურში ჯერაც დაუმარცხებელ „არმიასთან“ ტოლ-სწორად გამკლავება და აი, შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის ფინალისტის ძლევა.

**ყველაზე შედეგიანები:** ტუჯანი (19 ქულა, 16 მოხსნაძ – „რუსთავი“; ჩქარეული (22 ქულაძ, ჩიტაშვილი (18 ქულა, 12 შედეგიანი გადაცემაძ – თსუ.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ – „არმია“ 87:110, „ქუთაისი“ – სტუ 81:54, „ოლიმპი“ – „დინამო“ 92:54, შსს აკადემია – „სამედიცინო“ 83:58. ისვენებდა „სოხუმი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ – 18, „ქუთაისი“, „ოლიმპი“ – 15-15, შსს აკადემია – 11, „სოხუმი“ – 10, „დინამო“ – 9, „სამედიცინო“ – 7, თსუ – 6, სტუ – 5, „რუსთავი“, „ბათუმი“ – 2-2 მოგება.

შემდეგი ტური: „რუსთავი“ – „ბათუმი“ (15 აპრილიძ, „დინამო“ – სტუ, „ოლიმპი“ – „სამედიცინო“, „არმია“ – „სოხუმი“, თსუ – შსს აკადემია (6 აპრილიძ. ისვენებს „ქუთაისი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ფიგურული სრიალი**

# მეტსაც მოველოდით



**ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ელენე გედევანიშვილმა მოციგურავეთა წინა მსოფლიო ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დაიკავა. წლეულს ნიცაში მას შედეგის გაუმჯობესების რეალური შანსი მიეცა: მოკლე პროგრამის შემდეგ მე-7 ადგილზე იყო და მესამეადგილოსანი კაროლინა კოსტნერი (იტალია) მხოლოდ 2,5 ქულით უსწრებდა.** სამწუხაროდ, ქართველმა მოციგურავემ თავისუფალ პროგრამაში საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა – 90,71 ქულით 24 მონაწილეს შორის მხოლოდ მეთხუთმეტე აღმოჩნდა, ორი პროგრამის ჯამში კი 149.20 ქულით მეათე ადგილს დასჯერდა. ოქროს მედალი პირველად მოიპოვა ოთხგზის ევროპის ჩემპიონმა კაროლინა კოსტნერმა – 189,94. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ალიონა ლეონოვამ (რუსეთი, 184,28ძ და აკიკო სუძუკიმ (იაპონია, 180,68ძ გაინაწილეს. ოლიმპიური ჩემპიონი მაო ასადა (იაპონია, 164,52ძ მე-6 ადგილს დაჯაბულდა.

**მხატვრული ტანვარჯიში**

# ევროპაზე ქართული „სამაია“ წავა



**წლეულს 29 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით ნიჟნი ნოვგოროდი მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენგან მხოლოდ ახალგაზრდები მიიღებენ შეჯიბრებაში მონაწილეობას. მათი ვინაობა გასულ უქმეებზე ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით გახდა ცნობილი.** ახალგაზრდებში მრავალჭიდი გაბრიელა ხვედელიძემ მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე სოფიო ფარულავა და სალომე ფაჟავა გავიდნენ. ევროპაზე ხვედელიძე ორ საგანში, ხოლო ფარულავა და ფაჟავა თითოში მოსინჯავენ ძალებს.

უფროსებმა ეროვნულ ჩემპიონატში მედლები ცალკეული საგნების მიხედვით გაითამაშეს. გურზებითა და რგოლით პირველი იყო მედეა გათენაძე, ბურთით – ლია ცეცაძე, ლენტით კი ოქრო არავის დაუთმო ელვირა ზუკაკიშვილმა, რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ამიერიდან საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის სახელით იასპარეზებს.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა

# ჯანსაღი კონკურენციის მოლანდება

**ყველა ქვეყნისთვის, რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს ის ეკონომიკურად და, მით უმეტეს, ჩვენსავით ჯერ კიდევ დაუღვინებელი ეკონომიკის პატრონისთვის, თანაც გლობალური კრიზისის პირობებში, უცხოური ინვესტიციების შემოდინებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ინვესტორთა მოსაზიდად კი აუცილებელია ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა, რაც, ზოგიერთ სხვა პარამეტრთან ერთად, ჯანსაღი კონკურენციისთვის სათანადო გარემოს შექმნას ითვალისწინებს. ეს კი, თავისთავად, ბაზარზე მონოპოლისტთა ბოგინის აღკვეთას გულისხმობს. რამდენიც არ უნდა გვიკიჟინონ ეკონომიკურმა გენერლებმა, საქართველოში სადღეისოდ „არაჩვეულებრივი“, „არნახული“ ბიზნეს-გარემოაო, ანტიმონოპოლიური სამსახურის კი არა, ქმედითი კანონმდებლობის ელემენტარული უქონლობაც კი ცხადყოფს, რომ ხელისუფლებას არ სურს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შიდა ბაზრებზე (მაგალითად, ენერგოშემცველების, საწვავის, სურსათის და ა.შ.) „არათავისიანთა“ შეშვება.**

ამდენი ხანი, ალბათ, ქვეყნის პარლამენტში არც ერთი კანონპროექტის განხილვა არ გაჯანჯლებულა, როგორც ეს „კონკურენციისა და ვაჭრობის შესახებ“ კანონპროექტს მოსდის, რომელიც პირველი მოსმენით პარლამენტმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მიიღო, თუმცა კი ბიზნესომბუდსმენმა გიორგი პერტაიამ მისი შემდგომი განხილვა შეაჩერა, იმ მიზეზით, რომ მას... ბიზნესმენები არ იცნობდნენ (?!).

მისი თქმით, კანონპროექტთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა იყო. კერძოდ, შეუსაბამობა იყო მთავრობისა და ბიზნესის მიმართ სანქციების მიღების მხრივ: **კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ბიზნესის მიმართ მეტად მკაცრი ფინანსური სანქციები იყო გათვალისწინებული, ხოლო მთავრობისთვის სააგენტოს მხოლოდ რეკომენდაციის მიცემის უფლება ჰქონდა მინიჭებული. ასევე არასამართლიანად იყო ჩამოყალიბებული საჩივრების განხილვის, სასამართლოსთვის მიმართვისა და სხვა საკითხები.**

ახლა, რამდენადაც ცნობილია, მისი მეორე მოსმენა დაახლოებით თვენახევარში- ორ თვეში უნდა მოხდეს, ოღონდ როდის იქნება ეს, ზუსტად ცნობილი არ არის. საუკეთესო შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მეტნაკლებად სრულყოფილ კანონს პარლამენტი, ბოლოს და ბოლოს, საშემოდგომო სესიამდე დაამტკიცებს (როცა მისთვის არავის „ეცხელება“), მისი თუნდაც რაიმე ფორმით რეალურად ამოქმედება თუნდაც იმ მარტივი მიზეზითაა გამორიცხული, რომ საბიუჯეტო სახსრების ფაქტობრივი უქონლობის გამო კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტო (ანუ ყოფილი ანტიმონოპოლიური სამსახური) რამდენადმე რეალური მოღვაწეობის დაწყებას წლეულს მაინც ვერ შეძლებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ ყველაფერი ეს, არც მეტი, არც ნაკლები... სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე გადაწყდა – საქმე ისაა, რომ გაერთიანებული, თან ფუნქციებდამატებულ სააგენტოს დაფინანსება წლეულს ისე შეუმცირეს, რომ არანაირი ქმედითი მუშაობის დაწყებაზე ფიქრიც არ შეიძლება. ხოლო იმას, რომ ხელისუფლებას არ სურს მონოპოლისტებისთვის ლაგამის ამოდება, იმითაც კარგად ჩანს, რომ ამდენი წელია ანტიმონოპლიური კანონმდებლობის შემუშავებაზე, სათანადო სრულფასოვანი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და მისთვის რეალური და არა დეკორატიული ძალაუფლების მიცემაზე, სერიოზულად არც არავის უფიქრია. არადა ევროკავშირის მოთხოვნით, რომლისკენ მალ-მალე იშვერენ ხელს ჩვენი ჩინოსნები, როცა ეს მათთვის მომგებიანია, კონკურენციის სააგენტო დიდი ხნის შექმნილი და ამოქმედებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მოღვაწეობის სფერო ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესი, მისი კანონიერება, გამჭვირვალობა და ა.შ. იქნებოდა. აქვე იმასაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ევროკომისიაში დიდი ხანია აცხადებენ იმის თაობაზე, რომ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ყოვლის მომცველ ხელშეკრულების ხელმოწერაზე სერიოზული ლაპარაკი მაშინ დაიწყება, როცა ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ამოქმედდება. გარდა იმისა, რომ ეს პროცესი უწინარესად მცირე ბიზნესისთვის იქნება ხელსაყრელი, ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენციის გაჩენა ფასების დაწევასაც შეუწყობს ხელს, რაც მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პირველი მოსმენით კანონპროექტი მიღებულია, მასზე მუშაობა გრძელდება, მაგრამ ეს პროცესი აშკარად ჭიანურდება. ამის მიზეზი, ექსპერტთა აზრით, ხელისუფლებასთან გარიგებულ მონოპოლისტთა მრავალრიცხოვნობა, ასევე თავდაპირველი კანონპროექტის არაერთი დებულების ბუნდოვნობა და ორაზროვნებაა, თუმცა კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მას კარგი, საფუძვლიანი იურიდიულ-ეკონომიკური ბაზა აქვს. ეს თუ ასეა, ახლა მთავარია კანონპროექტის ხარვეზების გამოსწორება, მაგრამ ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, როდის დაადგება საშველი მის დებულებათა საქმიანად გასწორებას, მიღებასა და, მით უმეტეს, სრულმასშტაბიანად და ეფექტიანად ამოქმედებას, ძნელი სათქმელია.

ოთარ ტურაბელიძე

ახალი ფოლკლორი

## გზავნილი

მუხრანის არდავიწყებით

მიშა რო არა, ვანო რო არა, ზურა რო არა,
ნიკა რო არა, გოკა რო არა, ვერა რო არა
კიდე ჰო, მარა, ესენი როა? აკაკიც როა?
— ახლა კი დროა, ბიძინა, რომა
უამათოდა მშვიდობა ნახოს
საქართველომა.

რამაზ ილმელი

ხსოვნა

## ნოდარ გავაშელი



რაოდენ დასანანია, რომ მეგობრებს და თანამშრომლებს აღარ გვყავს ნოდარ გავაშელი, უღალატო მეგობარი, საზოგადოებისთვისაც უღალატო კაცი.

ბატონ ნოდარს გასული წლის 15 სექტემბერს 80 წელი შეუსრულდა. მან აქტიური საქმიანობა ადრეული ასაკიდანვე დაიწყო. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, რის შემდეგაც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო თანამდებობებზე მცხეთაში, ასპინძასა და ახალციხეში. ამ სამუშაოზე მისი დაწინაურების საფუძველს წარმოადგენდა ბატონ ნოდარის გამორჩეული თვისებები — ინტელექტი დაწყებული ოჯახიშვილობითა და განათლებით დამთავრებული.

წარმატებით იმოღვაწა ბატონმა ნოდარმა საქართველოს პროფკავშირების სისტემაში — იყო ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა, შემდეგ კი ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერატივის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

შეუნიშნავი არ დარჩენილა მისი, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებლის ერთგული მუშაობა საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზეც.

ბატონი ნოდარი ყველგან გამოირჩეოდა არასტანდარტული, სხარტი, მასშტაბური აზროვნებით, ენერგიული და გაბედული მოქმედებით, სიახლისაკენ სწრაფვით. ყველაფერ ამის ბრწყინვალე დაგვირგვინებას წარმოადგენდა მისი პიროვნული თვისებები, ჰუმანურობის მაღალი გრძნობა, ადამიანებთან ურთიერთობის დახვეწილი კულტურა. საქმიანობამ და აზროვნების პროგრესულობამ ნოდარ გავაშელი ჩამოაყალიბა სამაგალითო სახელმწიფო მოღვაწედ. ამავე დროს იგი არა მარტო ოფიციალურად დადგენილ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, არამედ ყველა ადამიანური სიკეთით იყო შემკული, გამოირჩეოდა გასაოცარი სილაღითა და სითბოთი.

აი, ასეთი ძვირფასი პიროვნება წავიდა ჩვენგან, წავიდა ვალმოხდილი საზოგადოებისა და ახლობლების წინაშე. დანერგილი საქმე და დათესილი სიყვარული გაუნათებს მას მარადისობის გზას.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

საქართველოს პენსიონერთა
კავშირის გამგეობა

პრემიერა

## „განკითხვის დღე“... უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური დასი „სხვენი“ 11 წელია არსებობს და შესანიშნავი სპექტაკლებით გვანებივრებს, მაგალითისთვის ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჭრილობა“, და ასევე „კლოუნადა“ კმარა.**

**სპექტაკლის „განკითხვის დღის“ პრემიერა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა. დიდი ხნის განმავლობაში სააქტო დარბაზს რესტავრაცია უტარდებოდა და მცირე ხნის წინათ განახლდა.**



სპექტაკლის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დარბაზი მთლიანად გაივსო ახალგაზრდებით. იქაურობისთვის თვალი რომ შეგევლოთ, მიხვდებოდით, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ის მცდარი წარმოდგენა, ახალმა თაობამ თეატრის სიყვარული და ინტერესი დაკარგაო, მცდარია.

„განკითხვის დღე“ ტრაგიკომედიაა, რომელიც ახალგაზრდა მოხეტიალე მსახიობების მოულოდნელობით სავსე ცხოვრების ეპიზოდებს ასახავს, ერთდროულად ტკბილ-მწარეს განაცდევინებს მათ. შთამბეჭდავი იყო მაყურებლისთვის ავაზაკებით სავსე საპყრობილეში აღმოჩენილი ახალგაზრდა მსახიობი. იგი, ერთი შეხედვით უდანაშაულო-დამნაშავეების, ძალად გაბოროტებული, ცხოვრებისგან მოძულებული „საზოგადოების“ ჯერ დამცველი ხდება, ხოლო საბოლოოდ მათივე მსხვერპლი.

გავესაუბრეთ სპექტაკლის ერთ-ერთ მონაწილეს **თამარ კერესელიძეს.**



**— თამარ, თეატრალური დასი რამდენი ხანია არსებობს და ვინ არის ხელმძღვანელი? შენ როდიდან ხარ დასის შემადგენლობაში?**

—ჩვენი ხელმძღვანელი და სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ბატონი გიორგი გომურაშვილი, რომელსაც ბატონ გოგის [illegible] და დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ დასის სახელით.

დასში თითქმის 3 წელია ვარ. ძმამ „მისაჩუქრა“, რადგან მან იცოდა ჩემი სურვილის შესახებ და მოულოდნელად მიმიყვანა კასტინგზე. ყოველთვის მინდოდა მსახიობობა და მათთან მეგობრობა. ბედნიერი ვარ, დღემდე მომყვება პირველი ემოცია.

პრემიერა „განკითხვის დღე“ გიორგი კაჭარავას რომანის მიხედვით პირველად დაიდგა. იგი დღეს გავიცანით და ძალიან გახარებულნი ვართ, რადგან მის თვალებში აღფრთოვანება დავინახეთ.

**— გახსოვს შენი დებიუტი სცენაზე?**

—ჩემი დებიუტი თეატრალური დასის გარეთ შედგა, ბატონმა გოგა გეგელიამ წლების წინათ დადგა სპექტაკლი „ანა ფრანკის დღიურები“, მარიამ ბედოლაშვილის ორგანიზატორობით, სადაც პირველად ვმონაწილეობდი. მანამდე რამდენიმე მეგობარი ვმღეროდით ანსამბლ „უნივერსიტეტში“, რომლის ხელმძღვანელიც ბატონი თამაზ მამალაძეა. შემდეგ გადავწყვიტეთ ცალკე ანსამბლის შექმნა. ეს არის „პოპური“.

**— არ შემიძლია, არ გკითხო გამორჩეული ტრადიციების მქონე სააქტო დარბაზზე, სადაც დიდი ხანია რესტავრაცია მიმდინარეობდა...**

—სააქტო დარბაზი დაახლოებით ერთი თვეა განახლდა და ათმაგად ბედნიერი ვართ, რომ ამ სცენაზე თამაშის პატივი გვერგო.

**— როგორია თეატრალური დასის სამომავლო გეგმები, რას აპირებთ?**

—თეატრალური დასი დიდი შემართებით წინსვლას აპირებს. გვინდა გვქონდეს ჩვენი რეპერტუარი, გავმართოთ კვირეულები... რამდენიმე სპექტაკლი აღვადგინოთ. ჯერჯერობით მხოლოდ უნივერსიტეტში ტარდება სპექტაკლები, თუმცა რამდენიმე მსახიობი ბათუმშიც იმყოფებოდა, ასევე ითამაშეს თავისუფალ თეატრშიც, ანუ ნაბიჯები წარმატებისკენ უკვე გადადგმულია.

სოფიო გაბისონია,
ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი.

გახსენება

## მარლენ მეტრეველი



ჩემო საყვარელო ძმაო, გილოცავ დაბადების დღეს — 3 აპრილი ხომ შენი დაბადების დღეა.

14 წელი აღარ მინახიხარ, აღარ მოგფერებივარ, აღარ მომისმენია შენი ღიმილიანი საუბარი, აღარ მიგრძვნია შენი კეთილი გამოხედვა. ვაი, რომ დრომ კი არ შეამცირა მონატრების სურვილი, არამედ უფრო გაამძაფრა. შენს მონატრებას მამას და დედას მონატრებაც დაემატა, რამაც გამანადგურა და თან წაიღო ჩემი სული და გული.

ჩემო საყვარელო ძმაო იზრდება შენი ოჯახი, მალე სამი შვილიშვილის ბაბუა გახდები. შენს უმშვენიერეს ნებიერ თამუნას მეორე შვილი შეეძინება.

მარლენ, შენი სული თითქოს შენს შვილებშია გარდასახული, რომ იცოდე შენმა მონაგარმა როგორ მომილოცა დაბადების დღე. აი ისე, შენ რომ იცოდი...

იზრდება დავით მეტრეველის მონაგარი, მალე მეც ორი შვილიშვილის ბებია გავხდები, ალიკა კი ორი შვილის მამა. და სწორედ ეს მასულდგმულებს და სიცოცხლეს მიხანგრძლივებს.

ჩემო საყვარელო ძმაო, დედა და მამა თქვენ ხომ მთელი ცხოვრება სიკეთის კეთებას ემსახურებოდით, ამიტომ მჯერა, რომ თქვენს საოცარ სასუფეველში სხვანაირი ქარები ქრიან, სულ სხვანაირად თენდება დილა და სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს.

მტკივა თქვენი მონატრება, მონატრებით გამოწვეული ჩემი გულის კვნესაც მესმის, ხშირად თითქოს თქვენი სუნთქვაც მოაქვს ნიავს.

ჩემო საყვარელო ადამიანებო, 3 აპრილს მოვალთ თქვენს საფლავზე, აგინთებთ სანთლებს, და ვილოცებთ თქვენთვის, რომ მუდამ ნათელში გვიმყოფოს ღმერთმა თქვენი სულები.

შენი და ნინო მეტრეველი

შვილები რუსუდან, თეიმურაზ ჩარკვიანები, რძალი ნინო ქორქაშვილი, შვილიშვილები ნათია, რუსუდან ჩარკვიანები, მერი გვერდწითელი, სიძეები ზაზა გვერდწითელი, დავით ჭიჭინაძე, დავით იაშვილი, მძახლები ნაილი მინდელი, ჟუჟუნა რევია, გურამ გვერდწითელი, შვილთაშვილები თეიმურაზ, ნიკოლოზ, ლუკა, ნინო, გიორგი, ზაზა, ერეკლე, მაზლიშვილები ნინო, თენგიზ ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი ჯაფარიძე-ჩარკვიანი**

პანაშვიდი 2 IV, 17 სთ. დაკრძალვა 3 IV, 15 სთ. მის. ქ. თბილისი, ქობულეთის ქ. №18.

ციალა, ირაკლი ანდრიაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თემურ ჩარკვიანის დედა ქალბატონი

**მერი ჩარკვიანი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### ყველანი უკან, ისევ სოფელში დავბრუნდეთ!



**ავსტრიელ ფუტუროლოგ მეცნიერთა აზრით, მსოფლიოს უდიდესი მეგაპოლისები უახლოეს 300 წელიწადში სიცოცხლისთვის გამოუსადეგარი იქნება.**

მკვლევართა აზრით, სიდნეიში, პარიზში, მოსკოვში, ნიუ-იორკში, მეხიკოსა და მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში ისეთი სიცხე და ტენი იქნება, რომ ასეთ ატმოსფეროში სუნთქვა შეუძლებელი გახდება. გამოკვლევა მსოფლიოში კლიმატურ ცვლილებათა სიჩქარისა და საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის დინამიკის შესახებ მონაცემებს ეფუძნება.

### სიმყრალის ჩემპიონები

**ცოტა ხნის წინათ მეხიკოში საჭირო გახდა ორი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ევაკუირება იმის გამო, რომ ორივეში რაღაცნაირად სკუნსები მოხვდნენ, რომლებმაც ისეთი სუნი დააყენეს, რომ ბავშვები გონს კარგავდნენ.**

„მომაკვდინებელი“ სუნი სკუნსების მიერ გამოფ-



რქვეულ სითხეს აქვს, რომელსაც ისინი საფრთხის წარმოშობის დროს უშვებენ, მაგრამ ის მალევე კარგავს სიმძაფრეს და სრულიად უვნებელია. ისე, ზოოლოგებმა მრავალი „მყრალი“ ცხოველის შესახებ იციან, რომლებიც მძაფრ სუნს არა მარტო თავის დასაცავად იყენებენ. მაგალითად, როსომახა მყრალი სუნით თავის სამყოფელი ტერიტორიიდან ყველა სხვა ცხოველს აგდებს. გიენას მყრალი სუნი იმიტომ ასდის, რომ აქოთებული ლეშით იკვებება. აფრიკული ზორილა კი, რომლის სუნი ერთნახევარ კილომეტრზე ვრცელდება (!), ამით ნადავლს იცავს: ცნობილია შემთხვევა, როცა ზებრას ლეშს ერთი ზორილა ცხრა ლომს რამდენიმე საათის განმავლობაში არ აკარებდა! სიმყრალის ჩემპიონი კი ცხოველებში ტასმანიის ეშმაკი ყოფილა, რომელიც გაბრაზებისას (რაც მას, თურმე, ხშირად ემართება), საოცრად მყრალ სუნს უშვებს.

### რა ღირება „ყვირილი“?



**გამოჩენილი ნორვეგიელი მხატვრის ედვარდ მუნკის დაბადებიდან 150 წლისთავს გაისად მთელ მსოფლიოში ფართოდ აღნიშნავენ.**

შემოქმედის საიუბილეო თარიღის მოახლოებასთან ერთად იზრდება ინტერესი მისი მხატვრობისადმი. ამასთან დაკავშირებით, ლონდონის „სოთბის“ აუქციონზე, აპრილში, ედვარდ მუნკის ყველაზე ცნობილ ფერწერულ ტილოს „ყვირილს“ გაიტანენ გასაყიდად. აღსანიშნავია, რომ „ყვირილი“, რომელიც მანამდე 70 წელზე მეტი ხნის მანძილზე თომას ოლსენის ოჯახის საკუთრება იყო, სარეკორდო 80 მილიონ დოლარადაა შეფასებული, თუმცა აუქციონის მესვეურნი ვარაუდობენ, რომ იგი გაცილებით დიდ ფასად გაიყიდება.

### მაინც რა აწუხებდა, ჰა?

**ნიუ-იორკის ერთ-ერთმა მცხოვრებმა საავადმყოფოს წვივთა გასიების საჩივრით მიმართა.** გამოკვლევის შედეგად მისი ოპერირება გადაწყდა, რა დროსაც მისი კუჭიდან... 258 საგანი ამოიღეს, მათ შორის ლუდის ქილების გასახსნელი დანა, 25 გასაღები და სამი წყვილი კრიალოსანი.

...წვივები კი არაფერ შუაში ყოფილა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „პირდაპირ ვაცხადებ — მიმდინარეობს ჩვენი ბავშვების დეგრადაცია, გადაგვარება, კრეტინიზაცია, გამოთაყვანება!

— გვაფრთხილებს განათლების სფეროს ცნობილი ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი, — მშობლებო, ყურადღებით იყავით — ჩამშვებად ზრდიან ჩვენს ბავშვებს! გააკონტროლეთ, რას ასწავლიან თქვენს შვილებს ბაგა-ბაღებში და წინააღმდეგობა გაუწიეთ ასეთ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს!..

„ასავალ-დასავალი“.

### ლევან ბეჟაშვილი პარტიების შიდასამზარეულოს გააკონტროლებს?

კანონში „კონტროლის პალატის შესახებ“ ცვლილებები შედის, რომლის თანახმად კონტროლის პალატისთვის არაგეგმიური აუდიტის მოთხოვნის უფლება პრეზიდენტს და პროკურატურას ჩამოერთმევა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს გადაეცემა. კონტროლის პალატას უკვე აღარ დასჭირდება „ზემდგომების“ გადაწყვეტილება, პარტიების ფინანსურ მენეჯერებს კონსულტაციებს კონტროლის პალატის უდიტები გაუწევენ.

„ვერსია“.

### „ეს კანონი კი არა, საშვილიშვილო წყევლაა!!!“

— აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტი ნიკოლოზ მჟავანაძე, — საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ მიღებული ცვლილებების გამო, კანონში შესული ცვლილებები საღ აზრს სცილდება და ვერაფერს უწოდებ, თუ არა ქვეყნის ღალატს.

გინდ ასე შეაბრუნე ეს კანონი, გინდ ისე, გინდ დებულება დაურთე გინდ არა, ამით ჩვენი ხელისუფლება ნებას აძლევს ნებისმიერ გადამთიელს, რომელიც სახელად ინვესტორს დაირქმევს, გადაწვას ტყე, მოწამლოს წყალი და ამისთვის პასუხიც არ აგოს.

„კვირის პალიტრა“.

### „სამი თვეა ამ ჩამპალ კედლებში ვცხოვრობთ“

— აცხადებენ გასული წლის დეკემბერში სუბელიანის უწყების მიერ წყალტუბოს სანატორიუმებიდან ახალ კორპუსებში შესახლებული დევნილები. ისინი ფასადშეღებილ შენობებში სინესტეს ვეღარ უძლებენ და მხოლოდ გაზაფხულის დადგომის იმედი აქვთ.

„რეზონანსი“.

### „პატიმრებს ახალი მეთოდით აწამებენ:“

— წერს ერთგან თავის მწვავე ანგარიშში სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, — გლდანის №8 დაწესებულებაში კოლექტიური დასჯის მეთოდები გამოიყენება — ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია.

„ახალი თაობა“.

### ოპოზიციური „25-ე არხი“ გურამ დონაძემ იყიდა?

გავრცელებული ინფორმაციით ბათუმის დამოუკიდებელი ტელევიზია „ტელეარხი ტვ-25“ წინასაარჩევნოდ, ხელისუფლების დაკვეთით შეიძინა გურამ დონაძემ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ფაქტობრივი უფროსია. ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, დარჩება თუ არა „ტვ-25“ დამოუკიდებელი თუ ისიც ჩადგება იმ ტელევიზიების რიგში, რომლებიც ხელისუფლებას ემსახურებიან.

„ქრონიკა“

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## ანეკდოტები

— დაელაპარაკე რედაქტორს ჩემი მოთხრობების შესახებ? — ეკითხება პირად მდივანს დამწყები ავტორი.

— დაველაპარაკე. მან მიმართვა გამოგიწერა პროქტოლოგთან.

— რატომ?

— აბა შენ თვითონ ხომ ვერ შეიტენი იმათ უკან.

* * *

— ჩემო სიცოცხლევ, ხომ კარგად იქცეოდი ჩემი არყოფნისას, ხომ დროულად წვებოდი დასაძინებლად და ხომ არ ტიროდი? — ეკითხება პატარა გოგოს მივლინებიდან დაბრუნებული დედა.

— ჰო, დედიკო, ოთხშაბათსა და პარასკევს ჩვენთან გადიას ეძინა.

— ჩვენთან ეძინაო კი არა, უნდა თქვა, ჩემთან ეძინა, — შეუსწორებს მამა.

— შენთან, მამიკო, მას ხუთშაბათს ეძინა.

* * *



ერთხელ რომის პაპი ვიზიტად ჩაფრინდა პარიზში. მას პირდაპირ ტრაპთან დახვდნენ ჟურნალისტები და კითხვები დააყარეს.

— გვითხარით, რა აზრისა ხართ პარიზულ საროსკიპოებზე? — ჰკითხა ერთმა.

— რაო, პარიზში არის საროსკიპოები? — კითხვითვე უპასუხა პაპმა.

მეორე დღეს ყველა პარიზული გაზეთის პირველი გვერდი აჭრელებული იყო მყვირალა სათაურებით: „საფრანგეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე რომის პაპმა იკითხა, არის თუ არა პარიზში საროსკიპოები“.

* * *

ბანკში შეიარაღებული მძარცველები შეიჭრნენ.

— ხელები მაღლა! ყველანი — იატაკზე! არ გაინძრეთ!

ბანკის ყველა მოსამსახურე იატაკზე დაწვა. უფროსი მოლარე ბანკის მმართველის პირად მდივანს ჩურჩულით ეუბნება:

— ნორმალური პოზა მიიღეთ. ეს ძარცვაა და არა შეფის ბინაში მოწყობილი ნადიმი...

* * *

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ სამზარეულოში შუქს ყოველ ხუთ წამში ერთხელ ჩავრთავთ და გამოვრთავთ, ტარაკნები წინ და უკან უთავბოლო სირბილით დაიხოცებიან.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24